ნუნუ ქადაგიძე

ალმასის ცრემლები

(ზღაპრები)

2015

© ნუნუ ქადაგიძე (როზეტა შარაშენიძე) 2015

ტელ.: 595 27 37 52

ISBN 978-9941-0-7489-9

ალმასის ცთომილი

მთვარის ცბიერება

ძალზე გაოცდა თამუნა, როცა გაიგო, რომ მთვარე თვითონ არ ანათებს, მხოლოდ და მხოლოდ მზის სხივებს ირეკლავსო.

რამდენიმე წამით ხმისამოუღებლად შეჰყურებდა გოგონა თეთრად მოქათქათე მნათობს. უჭირდა დაეჯერებინა, რომ ეს მშვენიერი მარგალისტფერი სხივების კონები სხვისაგან იყო მოტაცებული, შემდეგ ასეთი შეკითხვა დაუსვა უფროსებს:

- ნეტავი მზემ თუ იცის რაიმე ამის შესახებ?

უკვე ძილის დროა, მიიღო პასუხად.

საერთოდ ცნობილია, უფროსებისაგან წესიერ პასუხს ვერასოდეს ეღირსები. ეს კარგად იცოდა თამუნამ და აღარავის ჩასციებია, ოღონდ არც დაძინება უფიქრია. ღია სარკმლიდან თვალმოუცილებლად შეჰყურებდა გაბადრულ მთვარეს და ფიქრობდა, ნეტავი მზე რას იტყვის, ასეთი დაუჯერებლი ამბავი რომ გაიგოსო.

უცბად ხედავს, მთვარემ თვალი ეშმაკურად ჩაუპაჭუნა.

თამუნა გაფაციცდა, ხომ არ მომეჩვენაო.

არ მოსჩვენებია, თვალის ჩაპაჭუნებას სიტყვაც მოაყოლა მთვარემ და ასეთი რამ უთხრა გოგონას:

- სულაც არაა სასურველი, მზემაც გაიგოს მისი სხივების მოტაცების ამბავი.

- რატომ? - ჰკითხა თამუნამ, - სხივებს უკან ხომ არ წაგართმევს... მზეს არავისთვის ენანება სხივები, რაღა შენთვის დაინანებს.

- დანანებით არ დაენანება, მაგრამ გული დაწყდება.

- რაზე დაწყდება გული?

- მთვარიანი ღამე ძალიან ლამაზი სანახაობაა, აკი შენ თვითონ

უწოდე ჩემს სხივებს მარგალიტისფერი სხივების კონა, - აუხსნა მთვარემ, - ჰოდა, როგორ გგონია, განა არ ეწყინება, ასეთ ლამაზ სანახაობას რომ გამოაკლდა?

თამუნა დაფიქრდა.

- ნუთუ არ შეიძლება, მზემაც ნახოს მთვარიანი ღამე? - იკითხა მერე.

- აბა, რანაირად მოახერხებს. მზის შემოხედვისაგან ხომ მაშინვე დღედ იქცევა ხოლმე ღამე, მთვარიანი იქნება თუ უმთვარო. აქ სრულიად ურგებია მისი ყოვლისმხილველი თვალი. მე კი, როცა მოვისურვებ, ყოველთვის შემიძლია მზიანი დღის დანახვა, - ამაყად დაუმატა მთვარემ.

თამუნა განაცვიფრა მთვარის ცბიერებამ. ხედავ, რა მარჯვედ დაიძვრინა თავი. მზეს სხივებს სტაცებს, თანაც ისე, რომ მოვალეც არაა, მადლობა უთხრას ამის გულისათვის. იქით ეცოდება სხივთამფრქვეველი მნათობი, მთვარიანი ღამის დანახვა არ შეუძლიაო.

მთვარის რჯალი

რახან ერთი დამეგობრდნენ, თამუნამ და მთვარემ შემდგომშიაც გააგრძელეს ერთმანეთთან საუბარი. ისინი ხომ მესაიდუმლენი იყვნენ, ამიტომ სალაპარაკოც არ ელეოდათ.

- როგორც გავიგე, რაღაც უცნაურად დადიხარ, - უთხრა თამუნამ, - სადაც მზე ჩადის, იქიდან იწყებ აღმასვლას.

- სწორია, - დაეთანხმა მთვარე.

- მერედა, რატომ იქცევი ასე? - ჰკითხა თამუნამ. - რატომ ხაზავ ცაზე რკალს მზის რკალის საწინააღმდეგო მიმართულებით?

- როცა ქუჩაში სასეირნოდ გამოხვალ, ყველა ერთი მიმართულებით ხომ არ მიდის? - შეკითხვა შეუბრუნა მთვარემ.

- ცხადია, არა.

- ჰოდა, ჩვენ მნათობებმა რა დავაშავეთ? მზე ერთი მიმართულებით მიდის, მე საწინააღმდეგო მიმართულებით მომესურვა გასეირნება. ჩემი სახეცვლილებაც სწორედ იმის შედეგია, ჩვენი რკალების მიმართულება ერთმანეთს რომ არ ემთხვევა. მე კი ძალიან მომწონს ცვალებადობა, ერთფეროვნებას ვერ ვიტან.

- კი მაგრამ, თავს რატომ გვაჩვენებ, ვითომ სულ სხვა მხარეს მიდიხარ?

- რაც აშკარაა, საინტერესოც არ არის, - თვალი ჩაუკრა მთვარემ, - თავი რისთვის გაქვს? უნდა იფიქრო და გამოიცნო.

როგორც ჩანს, უყვარს გამოცანები მთვარეს, - გაიფიქრა თამუნამ.

მოხეტიალე ჩრდილები

ო, რა თავმომწონე აღმოჩნდა მთვარე! ფართოდ გამოღებულ სარკმელში ნარნარი ფრენით შემოვიდა და სარკეში ჩაიხედა. საკუთარი სახე ხომ უდიდესი ყურადღებით დაათვალიერა... რამდენჯერმე შეტრიალ-შემოტრიალდა კიდეც, რათა საკუთარი თავი გვერდიდანაც დაენახა. მარგალიტივით თეთრი იყო მთვარე, მაგრამ რაღაც ბნელი ლაქა დასთრევდა მოსასხამივით, რაც ცხადად გამოჩნდა შემოტრიალებისას. გოგონა ერთი წამით შეაკრთო კიდეც მისმა დანახვამ.

- ეს რა ბნელი ლაქა დაგაქვს თან? - ჰკითხა თამუნამ.

- ლაქა კი არა, ჩრდილია, - იწყინა მთვარემ.

- არ მეგონა, თუ ასეთი დიდი ჩრდილი გქონდა, - ჩაილაპარაკა თამუნამ.

- ჩრდილი ყველას აქვს, მზის გარდა, - განმარტა მთვარემ, - ჩრდილი შენც გაქვს, ალბათ ხშირად დაინახავდი. ოღონდ შენი ჩრდილი დედამიწის ზედაპირს არასოდეს გასცდება, ჩემი ჩრდილი კი მთელ სამყაროში დაეხეტება.

მთვარე შუა ოთახში გამოეკიდა და ნელნელა წრე შემოხაზა ჰაერში. მისმა ჩრდილმა მოგზაურობა დაიწყო, თანმიმდევრულად გადააცოცდა კედლებს, სხვადასხვა ნივთებს, ბოლოს სარკემდეც მიაღწია. სარკის წინ ბროლის ლარნაკი იდგა. თამუნამ შეამჩნია, რომ ლარნაკი სრულიად უხილავი გახდა, როგორც კი მთვარის ჩრდილი დაეფინა.

- სად არ დაეხეტება ჩემი ჩრდილი, - აგრძელებდა მთვარე მუსაიფს და თოვლის ფიფქივით მსუბუქად დაფარფატებდა ოთახში, - შემიძლია არც კი დავიძრა ადგილიდან, ჩრდილს კი სადაც მინდა, იქ გავაგზავნი. თვით მზესაც ავაფარებ მანათობელ სახეზე. უნდა იცოდეს ყველამ; მე ვდგავარ მზესა და დედამიწას შორის. ვინც მზემდე მიღწევას შეეცდება, მე გვერდს ვერ ამივლის.

მთვარე უძრავად გამოეკიდა ჰაერში, მისი ჩრდილი კი კვლავ აგრძელებდა ოთახში მოგზაურობას. მოიარა კედლები, სხვადასხვა ნივთები, ბროლის ლარნაკამდეც მიაღწია, რომელიც კვლავ უხილავი გახდა.

რა ამოუცნობი, რა იდუმალი არსებაა მთვარე, ფიქრობდა თამუნა.

მთვარის საიდუმლო

-სამ გამოცანას გეტყვი. თუ ამოხსნი, ისეთ საიდუმლოს გაგიმხელ, რომელიც დედამიწაზე ჯერ არავინ იცის, - უთხრა მთვარემ თამუნას.

- გამოცანები ძალიან მიყვარს, - უპასუხა თამუნამ და მოსასმენად მოემზადა.

- ოქროს კარიბჭიდან გამოდის, გამუდმებით სახეს იცვლის და ოქროს კარიბჭეს მეორე მხრიდან უბრუნდება.

- ეს ხომ მთვარეა, - მიხვდა თამუნა.

- ვერცხლის ობობა ვერცხლის ქსელს ქსელავს, ოქროს ობობა არღვევს.

- მთვარე და მისი სხივები, რომელთაც მზე აუფერულებს.

- თეთრი მედუზა ლურჯ წიაღში ტივტივებს და დასალიერისაკენ მიემართება.

- ეგეც მთვარეა, ოღონდ უკვე ნაკლული, როცა განთიადისას ლურჯ ცაზე შემორჩება.

- ყოჩაღ! - შეაქო მთვარემ, - მართლაც ღირსი ყოფილხარ, ჩემი საიდუმლო გაგიმხილო.

თამუნა სმენად იქცა.

- როგორც უკვე გითხარი, ეს არავისთვის გამიმხელია მთელი დედამიწის ზურგზე, - დიდის ამბით დაიწყო მთვარემ, თან რაც შეიძლებოდა იდუმალი იერი მიიღო, - უბრალო რამე არ გეგონოს, მისი გულისთვის არაფერს დაიშურებენ მეფეები. მთელ სამეფოსაც კი დათმობენ, ოღონდ ხელში ჩავუგდო. მე ხომ ვიცი, როგორ ესაჭიროებათ მეფეებს თავიანთი სამფლობელოები.

- ნეტავი რაა ასეთი? - მოთმინება დაელია თამუნას.

მთვარემ კიდევ უფრო იდუმალი იერი მიიღო:

- მზესა და დედამიწას შორის კიდევ ერთი ცთომილი მიმოიქცევა, რომლისთვისაც თვალიც არ მოუკრავთ წვეროსან მეცნიერებს.

- ნეტავი რა ცთომილია?

- ალმასის ცთომილი.

- რა უცნაური სახელია.

- ეს სახელი არაა, ის ცთომილი ნამდვილად ალმასისაა. გასწავლი გზას იქამდე. ალმასებს ჩამოიტან, რამდენსაც კი მოერევი. ხომ გიყვარს ალმასი?

თამუნა დაფიქრდა. ალმასების განსაკუთრებული სიყვარული არასოდეს ეგრძნო, ის კი გაეგონა, ძალიან ლამაზად ბრჭყვიალებენო.

მთვარემ გაოცებით შემოხედა.

- ამ საიდუმლოს გამხელისას სიხარულით ჭკუაზე შეიშლებოდნენ სხვები, შენ კი თითქოს არაფრად აგდებ.

- მეც მიხარია, - თქვა თამუნამ. ბოლოს და ბოლოს, რაიმეში გამოიყენებდა ალმასებს. იქნებ კენჭაობის სათამაშოდ გამოადგეს, ანდა მეზობლის ბავშვს გაუცვალოს ბუთხუზა ლეკვში, - ოღონდ მითხარი, იქამდე როგორ მივაღწიო.

- იქამდე საკმაოდ გრძელი გზაა, - უთხრა მთვარემ, - უპირველეს ყოვლისა, მზეს უნდა ესტუმრო. მის გარეშე ვერაფერს გააწყობ.

- მზე ხომ დამწვავს, - შენიშნა თამუნამ.

- ჩემს ჩირაღდანს გაგატან, მისი წყალობით მუდამ ჩემს ჩრდილში ივლი და მზის სხივები ვერაფერს დაგაკლებენ.

და მთვარემ მშვენიერი ჩირაღდანი აჩუქა თამუნას.

მთვარის ჩირაღდანი

ალბათ ყველას გიხარიათ საჩუქრების მიღება, ხოლო როცა საჩუქარი იშვიათი ღირსებითაა აღჭურვილი, მაშინ ხომ ბედნიერების მწვერვალზე იგრნობ თავს. შეიძლება წამით ყოველივე დაგავიწყდეს. სწორედ ასე დაემართა თამუნასაც. ისე გაიხარა ამ ძვირფასი საჩუქრით, კინაღამ ხმამაღლა გადაიკისკისა, მაგრამ დროზე შეიკავა თავი, არავინ გავაღვიძოო. არაჩვეულებრივად ლამაზი იყო მთვარის ჩირაღდანი, ერთი შეხედვით თითქოს ვერცხლისაგან ნაძერწს ჰგავდა. მარ-

გალიტსაც გაგახსენებდათ, ფოსფორსაც, თუმცა საბოლოოდ ვერ-ცერთ მათგანს ვერ მიაკუთვნებდით. ხოლო ის ხიბლი და პეწი, მას რომ ეფინა, ქვეყნად არცერთ ნაკეთობას არ ექნებოდა. ერთი შეხედვისთა-ნავე შეატყობდით, ხელთუქმნელი ნივთი რომ უნდა ყოფილიყო.

თანაც რა მსუბუქი, რა სათუთი იყო მთვარის ჩირაღდანი... თა-მუნას ეგონა, მტრედის ბუმბული დამეფინა ხელზეო, როცა მაღლა აწეული ხელი შეაგება მთვარის საჩუქარს.

- სთხოვე და გზას გაგინათებს მზისკენ, - უთხრა მთვარემ.

თამუნა ასედაც მოიქცა. სიტყვა არც კი დაემთავრებინა, ჩი-რაღდანი იშვიათი შუქით აენთო და სხივფენილი ბილიკი მოის-როლა. აქაც შეამჩნევდით ვერცხლისფერს, მარგალიტისფერს და ფოსფორისფერს, ხოლო იდუმალი ხიბლი და პეწი აქ კიდევ უფრო მეტი ძალით იჩენდა თავს.

დიახ, მშვენიერი რამ იყო მთვარის ბილიკი, ოღონდ ერთმა რა-მემ შეაცბუნა თამუნა: ისე იყო მიხვეულ-მოხვეული, თითქოს ვიღა-ცა რვიანების გამოხატვას იწყებდა შუქის კონით, მაგრამ შუა გზაზე წყვეტდა და მეორე რვიანის გამოხატვას წამოიწყებდა ხოლმე, რათა ისიც შუა გზაზე შეეწყვიტა. ნახევარი რვიანები კი ტალღისებურ დაკლაკნილ გზას ქმნიდნენ.

- რატომაა ასე მიხვეულ-მოხვეული? - იკითხა თამუნამ. ეჭვი შეე-პარა, ვაითუ სადმე გადაუხვიოს და მიზნამდე ვერ მიმაღწევინოსო.

- ჩემი ბილიკი მუდამ ასეთია, - დაამშვიდა მთვარემ, - მაგრამ ბოლოს აუცილებლად მზემდე მიგიყვანს.

თამუნასაც ბევრი აღარ უფიქრია, სასწრაფოდ მოძებნა პატა-რა მოწნული კალათა. ეს კალათა მისი ხშირი თანამგზავრი იყო, ხან ყვავილებს ჩააწყობდა შიგ, ხან სოკოებს, ხან სათამაშოებს და ვინ იცის, კიდევ რამდენ რამეს. ახლა იგი პირდაპირ მისწრება იყო ალმასების ჩამოსატანად. სხვა რამ სამზადისი თამუნას არ სჭირდე-ბოდა, უფროსებისაგან განსხვავებით, გამგზავრების წინ ერთ და-ვიდარაბას რომ ატეხავენ ხოლმე. მზად იყო ფეხი შეედგა მთვარის ბილიკზე, რომ მთვარემ მოულოდნელად შეაჩერა:

- კიდევ სამ გამოცანას გეტყვი.

თამუნა შეყოვნდა. ძალზე ეჩქარებოდა მთვარის ბილიკზე ფე-ხის შედგმა, მაგრამ გამოცანებიც უყვარდა.

- სად ხვდება ერთმანეთს ჩრდილი და სინათლე? - ჰკითხა მთვა-რემ.

თამუნა დაფიქრდა და თავი გადააქნია, არ ვიციო.

- რამდენი ნაბიჯია გამჭვირვალე ჩრდილამდე?

- არც ეს ვიცი, - თქვა თამუნამ ფიქრის მერე.

- რომელია ყველაზე მშვენიერი ბილიკი?

თამუნა ამჯერად უფრო დიდხანს დაფიქრდა, მაგრამ ახლაც უშედეგოდ.

- ვერცერთი ვერ ამოვხსენი, - წყენით აღიარა გოგონამ.

- ვერც ამოხსნი, სანამ დედამიწაზე გიდგას ფეხი, - აუხსნა მთვარემ. - ესენი, რაც ახლა გითხარი, მიღმიერი გამოცანებია. კარგად დაიმახსოვრე ყოველი მათგანი. როცა მათ ამოხსნი, დედამიწაზე დაბრუნდები და ალმასებსაც ჩამოიტან.

- დავიმახსოვრებ, - თქვა თამუნამ და ფეხი შედგა მთვარის ბილიკზე. თამამად გასწია წინ, სულ მალე მოიტოვა დედამიწა უკან, ის ხომ მთვარის იდუმალ ბილიკს მიუყვებოდა, რომელიც სულ სხვა სივრცეებს ჰკვეთდა. ვარსკვლავები მდუმარედ ჩამოჰყურებდნენ, არაფრით ამჟღავნებდნენ, მსგავსი რამ თუ ენახათ ოდესმე... ძალზე ლამაზია მთვარის ბილიკი, ფიქრობდა გოგონა. ვინ იცის, იქნებ ყველა ბილიკზე ლამაზია, რომელზეც კი ფეხი შეიძლება დაადგას ადამიანმა.

მზის ჩირაღდანი

ასრულდა მთვარის სიტყვები; თამუნას ვერაფერი ავნო მზის სხივებმა, როცა გოგონამ მზის საბრძანებელში შედგა ფეხი. ძველი მეგობრებივით შეხვდნენ ერთმანეთს. გუწრფელი, ნათელი ღიმილი შეაგება თვალებბრიალა მნათობმა და მაშინვე ჰკითხა, რითი შემიძლია გემსახუროო. მზის გულმხურვალება ხომ საყოველთაოდ ცნობილია.

- ჩირაღდანი მჭირდება, - სთხოვა თამუნამ, - ალმასის ცთომილამდე უნდა მივაღწიო.

- საიდან გაიგე ალმასის ცთომილის არსებობის შესახებ?

- მთვარემ მიამბო.

მზეს გაოცება დაეტყო.

- როგორ მოხდა, რომ გაგიმხილა. ეს საიდუმლო მგონი ჯერ არავისთვის უთქვამს. ნეტავი რა აქვს გუნებაში...

თამუნა შეშფოთდა. პირველად ახლა დაეჭვდა, რამე ხათაბალაში არ გავებაო.

- განა მთვარე გულბოროტია? - შიშით იკითხა გოგონამ.

- რას ამბობ, - გაუღიმა მზემ, - მთვარე ძალზე კეთილია, ოღონდ ერთი ზნე სჭირს; გამოცანები უყვარს.

- ეგ მეც ვიცი, - გულზე მოეშვა თამუნას.

- მთავარია, კარგად დაფიქრდე, ყოველივე მშვიდად განსაჯო, ისე, რომ არაფერი გამოგრჩეს მხედველობიდან და აუცილებლად ამოხსნი მთვარის იგავს, - ამ სიტყვებით მზემ ჩირაღდანი გაუწოდა თამუნას.

ო, რა მშვენიერი იყო მზის ჩირაღდანი. ოქროსაგან ნაძერწს ჰგავდა, თუმცა ერთი შეხედვისთანავე ეტყობოდა, რომ იგი არ უნდა ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ ოქროს ნივთი, თუნდაც ბაჯაღლო ოქროსი. ალისფერი ჩამდნარიყო მასში და ქარვისფერსაც შეამჩნევდა დაკვირვებული თვალი. ამ მსუყე ფერთა შერწყმა მართლაც ხელთუქმნელ ნივთს ქმნიდა. ჯადოსნური ნივთისთვის დამახასიათებელი ხიბლი და პეწი თან ახლდა.

როცა თამუნამ მაღლა ასწია ჩირაღდნიანი ხელი, ენით აუწერელი სილამაზის ბილიკი დაინახა, რომელიც ისარივით იყო სივრცეში გაჭიმული, მთვარის დაკლაკნილი ბილიკისაგან განსხვავებით უხვად ჩქეფდა მსუყე ფერთა ნიაღვარი, რითაც მზის ჩირაღდანი იყო შემკული.

მოიხიბლა თამუნა ამ მშვენიერი სანახაობით და ისიც გაახსენდა, რომ ასევე მოხიბლული დარჩა, როცა მთვარის ჩირაღდანი იხილა.

- ნეტავი რომელი მათგანი უფრო ლამაზია, - გაიფიქრა გოგონამ და მთვარის ჩირაღდანს დახედა, რათა მზის ჩირაღდნისათვის შეედარებინა.

დახედა და გაოცდა, ერთბაშად ვერ კი იცნო; მთვარის ჩირაღდანს სულ მთლად დაჰკარგოდა პეწი. სადღა იყო ის მომაჯადოებელი ვერცხლისფერი, ასე ლამაზად რომ ერწყმოდა მარგალიტისფერს და ფოსფორისფერს. თამუნას ეგონა, ხელზე ჩრდილი მაფენიაო, ისე გაუფერულებულიყო.

ისევ მზის ჩირაღდანს დახედა, მოეჩვენა, თითქოს თვით სინათლის კონა ეპყრა ხელთ.

და თამუნას მთვარის პირველი მიღმიერი გამოცანა გაახსენდა, სად ხვდება ერთმანეთს ჩრდილი და სინათლეო.

- აი, პირველი მიღმიერი გამოცანაც ამოიხსნა, - თქვა გახარებულმა გოგონამ, - სინათლე და ჩრდილი სწორედ აქ შეხვდნენ ერთმანეთს, სადაც მთვარის ჩირაღდანი შეხვდა მზის ჩირაღდანს.

ზედმეტი ბარგი?

მშიშარააო, თამუნას შესახებ ვერ იტოყდით, გაბედულება არასოდეს აკლდა, მაგრამ ახლა, როცა პირველი მიღმიერი გამოცანა ამოხსნა, თავი უფრო მხნედ იგრძნო. თამამად შეაბიჯა მზის მშვენიერ ბილიკზე, სულ ფრენა-ფრენით გასწია წინ.

აქ ერთ ისეთ საკითხს შეეჩეხა, რომელიც ყველა მოგზაურს შეიძლება შეხვდეს; რაც მოგზაურისთვის ზედმეტია, თავიდან უნდა მოიშოროს, ყველა ასე იქცევა.

მთვარის ჩირაღდანიც ზედმეტი ბარგივით ჩანდა, როცა ისარივით სწორ, ოქროსფერ ბილიკს მიჰყვებოდა თამუნა.

უნდა გადაეგდო?

გოგონამ დაფიქრებით დახედა მთვარის ჩირაღდანს. მართალია, ძალზე გაუფერულდა, მაგრამ არც იმის დავიწყება შეიძლება, რა ლამაზი, რა იდუმალი შუქით ციმციმებდა. ამას გარდა, მზემდე ხომ სწორედ მისი წყალობით მოაღწია.

- მე ხომ ძალიან მიყვარხარ, მთვარევ, - გულში ასე მიმართა თამუნამ ჯერჯერობით უხილავ მთვარეს, - როგორ შემიძლია შენი საჩუქრის გადაგდება. იგი მაინც ჩვირფასი იქნება ჩემთვის, თუნდაც აღარაფერში გამომადგეს.

და თამუნამ პატარა მოწნულ კალათაში ჩადო მთვარის ჩირაღდანი. ალბათ გემახსოვრებათ იმ კალათის შესახებ, ალმასების წამოსაღებად სჭირდებოდა.

მოაგვარა რა ეს საკითხი, თამუნამ მკვირცხლად გასწია წინ. მშვენიერი იყო მზის ბილიკი, გოგონას მოეჩვენა, თითქოს მზე ეალერსებოდა, ისეთ სითბოს და გულითადობას ასხივებდა იგი. მოციმციმე ვარსკვლავები ახლაც მდუმარედ ჩამოჰყურებდნენ, ოღონდ მათი ელვარება შედარებით გაფერმკრთალებულიყო. ეს იმიტომ, რომ მზის ჩირაღდანი ეპყრა ხელთ, რომელიც საკმაოდ ძლიერ შუქს ასხივებდა.

მალე მანათობელი წერტილი შენიშნა, რომელიც თანდათან იზრდებოდა, თან საოცარი ძალით ბრწყინავდა.

- ეს მგონი ალმასის ცთომილი უნდა იყოს, - თქვა თამუნამ და ფეხს აუჩქარა. მანათობელი წერტილი ისე გაიზარდა, სახლისოდენა გახდა, მერე მთისოდენა. არც ამის შემდეგ არ შეუწყვეტია ზრდა, თან ისე ბრწყინავდა, გოგონა თვალს ძლივსღა უმაგრებდა. უფრო მზეს ჰგავდა, ვიდრე ცთომილს, თანაც მთაზე უფრო უზარმაზარს, მზის ბილიკი უშუალოდ მას ერწყმოდა. სულ რაღაც დათვლილი ნა-

ბიჯები უკლდა, საცაა მასზე გადააბიჯებდა კიდეც თამუნა.

ცოტა კიდევ წაიწია წინ გოგონამ და... უეცრად სადღაც გაქრა მზესავით ბრიალა ცთომილი.

თამუნა შედგა. კინაღამ წონასწორობა დაკარგა, ისე მოულოდნელი იყო ეს მისთვის.

თვალები მოისრისა, უფრო ყურადღებით გაიხედა წინ. მზესავით ბრიალა ცთომილი ნამდვილად გამქრალიყო, აღარ ჩანდა. მანათობელი ბილიკი სივრცეში გამოეკიდა.

ერთი წამით გოგონა დაიბნა. როგორი ამბავია; სახლიდან ასე შორს, მდუმარე სამყაროს პირისპირ დარჩენა, როცა ირგვლივ მხოლოდ ვარსკვლავები არიან და სხვა არავინ, მაგრამ მალე მოეგო გონს.

მიხვდა, აქაც მთვარის მიერ დაგებულ მახეში გავებიო და მისი მეორე მიღმიერი გამოცანა გაახსენდა, ,,რამდენი ნაბიჯია გამჭვირვალე ჩრდილამდე?"

თამუნა ისე დაძაბულად ფიქრობდა, შუბლიც კი ასტკივდა და ხელით მოისრისა. გაიხსენა მთვარის ყოველი სიტყვა: ,,თავი რისთვის გაქვს? უნდა დაფიქრდე და გამოიცნო!" ცხადად წარმოუდგა თვალწინ, თუ როგორ დაეხეტებოდა ოთახში მთვარის ჩრდილი და ბროლის ლარნაკი სრულიად უხილავი გახდა, როცა მთვარის ჩრდილი დაეფინა. აშკარა იყო, აქაც მსგავი რაღაც ხდებოდა, მთვარემ თავის მოხეტიალე ჩრდილით უჩინმაჩინად აქცია ალმასის ცთომილი, მაგრამ ვაი რომ ეს მიხვედრა საქმეს მაინც არ შველოდა, თამუნამ არ იცოდა, საით უნდა გადაედგა ნაბიჯი. მზის ბილიკს აღარსაით მიჰყავდა, სხვა გზაც არ ჩანდა.

კარგა ხანს იდგა ასე დაბნეული. ვერ მოესაზრებინა, როგორც მოქცეულიყო. ერთი პირობა ისიც კი იფიქრა, უკან ხომ არ დავბრუნდეო, თუმცა არც იმაში იყო დარწმუნებული, რომ ისევ ჩიხში არ მოექცეოდა, მთვარეს რა გამოულევს გამოცანებს.

უეცრად ერთმა აზრმა გაუელვა და პატარა კალათიდან მთვარის ჩირაღდანი ამოიღო.

- სხვა გზა არ ჩანს, იქნებ მთვარის ჩირაღდანი გამომადგეს, - თქვა გოგონამ, ხელი მაღლა ასწია და სთხოვა მთვარის ჩირაღდანს, გზა გამინათეო. იმწამსვე გაიკლაკნა მთვარის ბილიკი სივრცეში. თამუნასაც ბევრი აღარ უფიქრია, მაშინვე მასზე გადაინაცვლა.

გადაინაცვლა და... დაინახა კიდეც ბრიალა ალმასის ცთომილი. მუქი წყვდიადისფერი ჩრდილიც კარგად შენიშნა, რომელიც ალმასის ცთომილს მზის ბილიკის მხრიდან ეფინა.

- აი, მეორე მილმიერი გამოცანაც ამოიხსნა, - თქვა გახარებულმა თამუნამ, - გამჭირვალე ჩრდილამდე ერთი ნაბიჯია.

გოგონამ გადადგა ის ერთი ნაბიჯი და ფეხი დაადგა ალმასის ცთომილზე.

დიახ, სწორედ ალმასის ცთომილი იყო ის გამჭვირვალე ჩრდილი, რომელზეც მთვარის გამოცანაში იყო ლაპარაკი. ალმასი ხომ გამჭვირვალეა, ჰოდა, სრულიად უხილავი შეიქნა, როცა მთვარემ თავისი ჩრდილი დააფინა მასზე, ბროლის ლარნაკის მსგავსად.

- ო, რა ცბიერია მთვარე, - ფიქრობდა თამუნა გაოცებით, - მოხეტიალე ჩრდილი მაშინ დააფინა ალმასის ცთომილს, როცა იქამდე ერთი ნაბიჯიღა მაკლდა. ისევ მე ვიქნებოდი დამნაშავე, თუ იმ ნაბიჯს ვერ გადავდგამდი. ამას კი ვერაფრით ვერ მოვახერხებდი, თან მთვარის ჩირაღდანი რომ არ მქონოდა. კიდევ კარგი, არ გადავაგდე...

ალმასის ცთომილი

მართალი აღმოჩნდა მთვარე; ეს ცთომილი მთლიანად ალმასის გახლდათ. ლამაზი იყო თუ არა? ჰმ, როგორ ფიქრობთ, განა შესაძლებელია ალმასის ცთომილის სილამაზის აღწერა? იქ თვითონ უნდა წაბრძანდეთ და საკუთარი თვალით იხილოთ. სხივის ნათქვამი აქ ვერავითარ სამსახურს ვერ გაგიწევთ, რა მჭერმეტყველიც არ უნდა იყოს ეს უკანასკნელი. ერთს ვიტყვი მხოლოდ, ალმასის ცთომილი სულაც არ ყოფილა პინგ-პონგის ბურთივით მრგვალი, მას უსწორმასწორო ზედაპირი ჰქონდა, როგორც ეს ნამდვილ ცთომილს შეეფერება. აქ შეხვდებოდით დაბლობებს, მაღლობებს, მაღალ მთებს, ვარსკვლავთა ჯიღა რომ ადგათ თავზე და ჩაღრმავებულ ადგილებს, რომლებიც ალბათ ზღვებს წარმოქმნიდნენ, თუ წყლით აივსებოდნენ. და ეს ყველაფერი წმინდა წყლის ალმასებისაგან იყო შექმნილი. ყოველივე ამის გარდა, იქ მრავლად ეყარა სხვადასხვა ზომის ალმასის კრისტალებიც, ისე, როგორც ქვები ყრია ხოლმე დედამიწაზე. თამუნას სწორედ ეს კრისტალები აინტერესებდა. თავისი პატარა კალათა პირთამდე აავსო ხსენებული კრისტალებით და მეტი არც უნდოდა, სრულიად თავისუფლად ეყოფოდა კენჭაობის სათამაშოდ, მასაც და ბევრ სხვასაც, ვინც კი მასთან თამაშს მოისურვებდა.

ამის შემდეგ კი უკან დაბრუნებაზე იწყო ფიქრი გოგონამ. სხვა საქმე არაფერი დარჩენოდა ალმასის ცთომილზე.

თავი ასწია და ალმასის ცთომილის ცა მოათვალიერა. მაშინვე დაინახა დედამიწა. მზე და მთვარე რომ გააერთიანო, დაახლოებით იმხელა თუ იქნებოდა ზომით და თამუნა მიხვდა, თურმე რა შორს წამოვსულვარო. ეულად ეკიდა ცაზე მშობლიური ცთომილი და მის დაბრუნებას ელოდა.

უპირველეს ყოვლისა, მთვარის ჩირაღდანს წამოავლო ხელი.

- გზა გამინათე შინისკენ, - სთხოვა გოგონამ.

ჩირაღდანი მაშინვე აინთო და ჩვეულებისამებრ მოისროლა იდუმალი დაკლაკნილი ბილიკი, მთვარე დედამიწის უახლოესი ციური სხეულია, მისი ბილიკი ყველაზე მოკლე გზა იქნება მისკენო, ასე ვარაუდობდა გოგონა.

მაგრამ დახეთ უბედურებას, დაკლაკნილი ბილიკი სულ სხვა მხარეს იყო მიმართული, ისე რომ შორს სცდებოდა დედამიწას, უმოკლეს გზაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

თამუნას მაინცდამაინც არ გაკვირვებია, უკვე შეეჩვია მთვარისაგან მოულოდნელობებს. გვერდზე გადადო მთვარის ჩირაღდანი და მზის ჩირაღდანი აღმართა მაღლა:

- მზის ჩირაღდანო, გზა გამინათე შინისაკენ, - ახლა მას სთხოვა გოგონამ.

მზის ჩირადღანიც მაშინვე აინთო და ლამაზი ოქროსფერი ბილიკი მოისროლა, უკვე ასე ნაცნობი, მაგრამ ეს ბილიკიც სულ სხვა მხარეს მიიმართებოდა და შორს სცდებოდა დედამიწას.

თამუნა ამან ძალიან გააოცა. მიხვდა, საქმე მეტად საკირკიტო გამოცანასთან ჰქონდა და ამ გამოცანაში როგორღაც მზე იყო ჩათრეული, ცხადია უნებურად, თორემ მზე ძალიან გულწრფელია. ერთი წამით შიშმაც შეიპყრო, მაგრამ თავს შეუძახა და გაიმხევა. მთავარია თავგზა არ დავკარგო და ყველაფერი კარგად მოვიფიქრო, გამოცანაც ამოიხსნება. ყოველ გამოცანას აქვს ამოხსნა, არც ეს იქნება გამონაკლისი.

ასე დაიმშვიდა თავი და ჩაფიქრდა. ერთი რამ თავიდანვე ინიშნა: მზის და მთვარის ბილიკები ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით მიიწევდნენ სივრცეში, თითქოს ერთმანეთს გაურბიანო. არც დედამიწისკენ, არც ერთმანეთისკენ! თითქოს ასეთი იყო მათი დევიზი.

რაც უფრო მეტს ფიქრობდა, მით უფრო მრავლისმეტყველად

ეჩვენებოდა ეს ამბავი თამუნას, - როგორმე რომ მომერიგებინა ერთმანეთთან მზის და მთვარის ბილიკები, იქნებ დედამიწისაკენაც მეპოვნა გზაო, - ფიქრობდა გოგონა. მაშინ ალბათ მთვარის მესამე მიღმიერი გამოცანაც ამოიხსნებოდა, რომელია ყველაზე მშვენიერი ბილიკიო.

მაგრამ როგორ მოერიგებინა შეურიგებლენი?

თამუნამ კითხვის თვალი მოავლო სამყაროს, ასე ფართოს და გამოუცნობს, მერე ისევ ჩირაღდნებს მიაპყრო მზერა. უსარგებლონი გამხდარიყვნენ ისინი, მაგრამ მაინც ლამაზები იყვნენ. ახლაც კი, ამ უიმედო მდგომარეობაში, თამუნა მოხიბლა მათმა სილამაზემ. ძალიან უყვარდა მზე და მთვარე, მათი საჩუქრებიც უყვარდა და ვერაფრით შეელეოდა, რა უსარგებლონიც არ უნდა ყოფილიყვნენ.

- რომ იცოდეთ, როგორ მიყვარხართ, მზისა და მთვარის ჩირაღდნებო! - თქვა გოგონამ და ორივე ერთად აიღო ხელში.

ამის თქმა იყო და ორივე ჩირაღდანი აინთო, ორივემ ერთად მოისროლა სივრცეში ლამაზი იდუმალი ბილიკები, თანაც ერთნაირი ძალით ბრწყინავდნენ, მთვარის ბილიკს ოდნავადაც არ უკარგავდა ელფერს მზის ბილიკის ელვარება.

ეს კიდევ არაფერი, მთავარი სათქმელი წინაა: საქმე იმაშია, რომ ბილიკები დაახლოვდნენ, უფრო ზუსტად, ჩაეწვნენ ერთმანეთს. ისარივით სწორად გაჭიმულ ოქროსფერ ბილიკს ირგვლივ ნაყშივით შემოევლო მთვარის დაკლაკნილი ბილიკი. და ეს ულამაზესი ოქროსფერ-ვერცხლისფერი ბილიკი დედამიწისკენ იყო მიმართული და არა სადღაც უსასრულობისკენ. მართლაც მეტად ლამაზი სანახაობა იყო, პირდაპირ მოაჯადოვა გოგონა, ამიტომ ერთბაშად ვერც კი მიხვდა, რომ ეს არა მარტო ულამაზესი ბილიკი, არამედ მისი გადარჩენის გზაც იყო. თუმცა ეს მხოლოდ ერთი წამით გაგრძელდა, თამუნა მალე მოეგო გონს და...

- აი, მესამე მიღმიერი გამოცანაც ამოიხსნა, - თქვა გახარებულმა, - ყველაზე მშვენიერი ბილიკი ის ბილიკია, სადაც მზეს და მთვარეს ერთმანეთი უყვართ.

ჯადოსნური სიტყვა

აღარ დაყოვნებულა თამუნა ალმასის ცთომილზე, მაშინვე შედგა ფეხი ულამაზეს ვერცხლისფერ-ოქროსფერ ბილიკზე და სულ ხტუნვა-კისკისით გასწია წინ. მზე-მთვარის ბილიკი უფრო ფართოც იყო. არავითარი დაბრკოლება აღარ შეხვედრია, სულ მალე დაბრუნდა შინ. ულამაზესმა ბილიკმა პირდაპირ თავის ოთახში მიიყვანა, საიდანაც ასე გატაცებით უჭვრეტდა ხოლმე ცის მნათობებს. ცხადია, ალმასებიც თან ჩამოიტანა. მერედა როგორი, ულამაზესი, უნატიფესი, წყალჯავარიანობით ყველა მიწიერ პატიოსან თვალზე მჯობი. ხშირად თამაშობს კენჭობანას იმ ალმასებით. თუ სტუმრად ეწვევით, თქვენც გათამაშებთ.

მთვარე იმავე ღამეს ესტუმრა თამუნას, მშვიდობით დაბრუნება მიულოცა, თან გულახდილად აღიარა, სამივე მიღმიერი გამოცანა ბრწყინვალედ ამოხსენიო.

- ვიცოდი, არ დაიბნეოდი, - ამბობდა მთვარე, - შენ ხომ ძალიან გიყვარს გამოცანები. მაგრამ ყველაზე მეტად იმის იმედი მქონდა, რომ ციური მნათობები გიყვარს. ეს ნამდვილი ჯადოსნური სიტყვაა, თამუნა. ,,სიყვარული" რომ არ გეხსენებინა, არ აინთებოდნენ ერთად მზის და მთვარის ჩირაღდნები და ვინ იცის, რა ხათაბალას გადაეყრებოდი.

ამას რომ ამბობდა, მთვარეს გული აუჩუყდა და ცრემლები გადმოღვარა.

- მართალია, ძალიან მიყვარს ციური მნათობები, - დაუდასტურა თამუნამ, ცოტა არ იყოს, მასაც აუჩუყდა გული. არცაა გასაკვირი, საკმაოდ სახიფათო გზა მოიტოვა უკან და ხელცარიელიც არ დაბრუნებულა.

- ციური მნათობები უმადურნი არ არიან, - ისევ აგრძელებდა მთვარე, თან ცრემლებს ღვრიდა, რომლებიც ნამივით ეპკურებოდა მიწას, - სიყვარულს სიყვარულითვე პასუხობენ. ისეთი ამბები შემიძლია გიამბო, რომ...

მაგრამ მათ შესახებ სხვა დროს.



ძვირფასი ნაპოვნი

პირველი შეხვედრა

დათუნამ და მახარემ ერთმანეთი თოჯინების თეატრში გაიცნეს. დათუნა დარბაზში იჯდა, მახარე სცენაზე ასრულებდა საოცრად საინტერესო და თანაც სახიფათო როლს. თავზე კოკროჭინა ნაბდის ქუდი ეხურა, ლოყები წითლად ულაჟღაჟებდა. ცქვიტი, მოხერხებული და თანაც მეტად გულკეთილი გახლდათ მახარე, მუდამ მზად იყო ვინმეს დახმარებოდა და რაიმეთი გაეხარებინა. მთელი წარმოდგენის მანძილზე ერთხელაც არ ყოფილა შემთხვევა, თავისი სახელი „მახარე“ არ გაემართლებინა. თითქოს ეს სახელი საგანგებოდ შეერჩიათ მისთვის.

დათუნას ძალიან მოეწონა ეს ნამცეცა, მაგრამ ძალზე გამბედავი, ნაბდისქუდიანი ბიჭი, თვალი ერთი წამითაც არ მოუცილებია მისთვის. მახარეს არ გამოჰპარვია დათუნას მეტად ყურადღებიანი მზერა და ყველასთვის შეუმჩნევლად თვალი ჩაუკრა სცენიდან, წარმოდგენოს დამთავრების შემდეგ კი დათუნასთან გამოიპარა.

თურმე საიდანღაც გაეგო, რომ სწორედ იმ დღეს დათუნას დაბადების დღე იყო და უნდოდა მიელოცა ეს მნიშვნელოვანი თარიღი მისთვის. ისე ჩქარობდა, ნაბდის ქუდი თეატრის კულისებში დარჩა. თეატრში ბევრი ეძებეს მერე დაკარგული მახარე, მაგრამ ვეღარსად იპოვეს. თავისუფალი მსახიობიც არსად აღმოჩნდა, ყველა რაღაც როლით იყო დაკავებული. თეატრის დირექტორი იძულებული შეიქნა, თვითონ ეთამაშა მახარეს როლი, რათა წარმოდგენა არ ჩაშლილიყო. ბავშვებს რომ არაფერში შეჰპარვოდათ ეჭვი, დირექტომა ხელებზე და ფეხებზე ძაფები მიიმაგრა ნამდვილ თოჯინასავით.

ამ დროს კი დათუნასთან დღესასწაული იყო გამართული.

ბიჭმა ერთი სულის შებერვით ჩააქრო კრემისვარდებიან ტორტზე დამაგრებული ოთხი სანთელი. ვარდები ისეთი წითელი იყო, ნამდვილი გეგონებოდათ. გემრიელად მიირთვა დიდი, წითელვარდიანი ნაჭერი. მახარესაც გაუმასპინძლდა, თუმცა აღმოჩნდა, რომ მახარეს ტკბილეული მაინცდამაინც არ უყვარდა, მხოლოდ ტუჩები გაიპრიალა კრემით, ისიც დათუნას ხათრით. სამაგიეროდ ისე გულიანად მიულოცა დათუნას დაბადების დღე, თანაც ისეთი ტკბილი ღიმილი ეხატა ამ დროს სახეზე, რომ ბიჭს გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა. სულ ოდნავი სიყალბეც რომ გარეოდა ამ მილოცვას, ამას ხომ მაშინვე შეამჩნევდა დათუნა. ყალბი მილოცვებით მხოლოდ უფროსები ტყუვდებიან, უფროსებს სადღა აქვთ სამაგისო ალღო, ერთმანეთისგან განასხვავონ ნამდვილი და მოჩვენებითი.

– როგორ გამახარე, მახარე, – თქვა კმაყოფილმა დათუნამ. მეორე ნაჭერი ტორტიც მიირთვა მადაზე მოსულმა... მასაც ალისფერი კრემის ვარდი ამშვენებდა... და იმავე საღამოს მახარეს თავისი ოთახის თაროზე მიუჩინა ადგილი, სადაც მისი საყვარელი სათამაშოები: ბრჭყვიალათვალებიანი ხავერდის დათუნია და ფრთახატულა ხოხობი წამოსკუპებულიყვნენ. თოჯინების თეატრში დარჩენილი ნაბდის ქუდის მაგივრად დათუნამ მახარეს კამფეტის ქაღალდისგან გაკეთებული ქუდი დაახურა თავზე, რომელიც საოცრად მიმზიდველად ბრჭყვიალებდა.

ამ ბრჭყვიალა ქუდმა აღტაცებაში მოიყვანა დათუნას ორი ბებია. დათუნას ორი ბებია ჰყავდა. ორივენი უზომოდ გულკეთილები და ჭკვიანები იყვნენ, თუმცა ხანდახან დავა მაინც მოსდიოდა ერთმანეთში. ბებიები უსაზღვროდ კმაყოფილნი იყვნენ დათუნას საოცრად მახვილი, ოთხი წლის ბიჭისთვის უჩვეულოდ მახვილი თვალით... ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ დათუნას ნამდვილი მხატვრის თვალი და ალღო ჰქონდა, შეუცდომლად არჩევდა ფერებს. თანაც თავში ისეთი აზრები მოსდიოდა ხოლმე, რაც ამქვეყნად არცერთ ბიჭს არ მოუვა თავში. ამ საკითხში ბებიებს დავა არასდროს მოსვლიათ, ორივე დაუჯერებლად ერთსულოვანი იყო.

გამოუვალი მდგომარეობა

რაც ახლა გიამბეთ, ეს ყველაფერი შარშან მოხდა. წელს დათო უკვე დიდი ბიჭი იყო, ხუთი წელი უსრულდებოდა. ბებიები დიდ ფაციფუცში იყვნენ, სადღეობო ტორტი უნდა გამოეცხოთ, რომელზეც უკვე ხუთ სანთელს აანთებდნენ. ადრიან დილით დაიწყეს მზადება. დათუნას ჯერ კიდევ ტკბილად ეძინა. თაროზე წამოსკუპებული მახარე ღიმილით გადმოსცქეროდა მძინარე ბიჭუნას და გუნებაში სიტყვებს არჩევდა, რათა დაბადების დღე რაც შეიძლება ტკბილად და გულიანად მოელოცა მისთვის.

უეცრად მახარეს სახე შეეცვლალა, შეშფოთების ჩრდილმა გაურბინა თვალებში, წითლად მოღაჟღაჟე ლოყებიც გაუფერმკრთალდა. შეიძლება არც ისე თვალში საცემი იყო ეს ცვლილება, მაგრამ ამას მაშინვე შეამჩნევდა ისეთი მახვილი თვალის მქონე ბიჭი, როგორიც დათუნა იყო, კიდევ კარგი, რომ დათუნას ჯერ კიდევ ეძინა.

საქმე იმაში იყო, რომ მახარემ ბებიების ლაპარაკს მოჰკრა ყური. ბებიები შეშფოთებით ამბობდნენ, წელს ვარდები ისეთი წითელი აღარ იქნება სადღეობო ტორტზე, როგორც შარშან იყო, ვაითუ დათუნას არ მოეწონოსო. შარშან თავზე საყრელად გვქონდა ალისფერი საღებავი, სწორედ ის, რომელსაც ალისფერი ყვავილისგან ამზადებენ. წელს მისი ნასახიც არსადაა. ერთი პირობა ბებიებმა მოინდომეს რომელიმე ხილის წვენით, მარწყვის ან ალუბლის წვენით შეეღებათ კრემის ვარდები, იმედი გამოთქვეს, იქნებ დათუნას განსხვავება ვერ შეემჩნია, შარშანდელ და წლევანდელ ტორტს შორის, მაგრამ ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ ეს მოსაზრება უკუაგდეს. ალისფერი ყვავილის წვენით შეღებილი კრემის ვარდები ნამდვილი გეგონება, ისე წითლად ღაჟღაჟებენ, ხილის წვენით შეღებილი მასთან სად მოვა... როგორ შეიძლება ასეთი დიდი განსხვავება შეუმჩნეველი დარჩეს ისეთ ბიჭს, როგორიც დათუნაა, ის ხომ რაღაც არაჩვეულებრივად ერკვევა ფერებში. სხვა ვინმე რომ იყოს, კიდევ მესმის...

– სინთეზური საღებავი ხომ არ გვეყიდა? – იკითხა ერთ-ერთმა ბებიამ, – მისი ხმარება საკვებ პროდუქტებში ნებადართულია ინსტრუქციით.

მაგრამ მეორემ კატეგორიულად უარყო:

– ხომ იცი, დათუნა როგორი ალერგიულია, სინთეზურს ვერაფერს ვერ იტანს.

ამგვარად, ბებიები დიდ გასაჭირში იყვნენ. გამოსავალი ველარ

მოეძებნათ. ძალიან ეშინოდათ, ვაითუ დათუნას პირიც არ დაეკარებინა წლევანდელი სადღეობო ტორტზე... ამის წარმოდგენისას ორივე ბებიას წნევა უწევდა და გული ცუდად უხდებოდათ.

მახარემ დაწვრილებით მოისმინა ბებიების მსჯელობა, გაიგო რაშიც იყო საქმე და ღრმად ჩაფიქრდა, სახის გამომეტყველებაც სწორედ ამიტომ შეეცვალა. „როცა სცენაზე ვთამაშობდი, ყველას ვეხმარებოდი და რაიმეთი ვახარებდი“ – ფიქრობდა იგი – „დათუნასაც სწორედ ამიტომ მოვეწონე. სცენაზე მახარე ვიყავი, ახლაც მახარე ვარ... ასეთ კარგ სახელს კი ყველგან გამართლება სჭირდება...“ ასე დაასკვნა და თაროდან ცქვიტად ისკუპა. ხავერდის დათუნიამ გაოცებით დააჭყიტა ღილივით ბრჭყვიალა თვალები. ხოხობმაც ყელი მოიღერა და ნისკარტი გააღო, ალბათ რაღაცის თქმას აპირებდა. მახარემ თითი ტუჩებზე მიიდო, ანიშნა, ჩუმად ყოფილიყვნენ. ღია სარკმელში ნიავმა წამით ააფრიალა ფარდა და ისიც გაინაბა.

– ალისფერი საღებავის საძებნელად მივდივარ. ვიდრე არ ვიპოვი, არ დავბრუნდები, – წაიჩურჩულა მახარემ. ხავერდის დათუნიამ უხმოდ დაუქნია თავი, არც ხოხობს გაუღია ხმა, ჩვეულ პოზაში გაირინდა. მახარემ ერთი გადახედა სიყვარულით სავსე თვალით ტკბილად მძინარე დათუნას და ოთახიდან ფეხაკრეფით გავიდა. ბებიებს არაფერი გაუგიათ, ერთმანეთს რიგრიგობით უსხამდნენ გულის წვეთებს და მისი თვლით იყვნენ გართულნი.

ყველა გზა მწვანე ტაისკენ მიდის

ძალიან ჩქარობდა მახარე, ცხვირ-პირს იჭმუხნიდა და სწრაფად მიუყვებოდა ქალაქის ქუჩებს, აქ ღიმილისთვის ნამდვილად არ ეცალა. ხალხს თუ მანქანებს მარჯვედ უქცევდა გვერდს, თან ფერადფერადი აბრებით აჭრელებულ მაღაზიებს ათვალიერებდა, რათა სასურველი მაღაზის არ გამორჩენოდა.

ბოლოს შეამჩნია ერთი მაღაზის, რომელზეც „ფერადი საღებავები“ ეწერა. მაღაზია ხალხით იყო სავსე. როგორც ჩანს, საღებავები ბევრს სჭირდებოდა ამ ქალაქში.

მახარე მოთმინებით დაელოდა, სანამ ამდენი ხალხი იყიდდა თავისთვის საჭირო საღებავებს და მერე ზრდილობიანად ჰკითხა

გამყიდველს: ალისფერი, ბუნებრივი საღებავი თუ გაქვთო.

მაგრამ გამყიდველი აბა რისი გამყიდველი იქნებოდა, რომ ისეთი პაწაწინა არსებისთვის მიექცია ყურადღება, როგორიც კამფეტის ბრჭყვიალაქუდიანი ბიჭი იყო. მან ზედაც არ შეხედა მახარეს, მომდევნო მუშტარს, ვიღაც ზონზროხა კაცს ჰკითხა, რა გნებავთო. ზონზროხამ მაშინვე გაშალა ბადურები, თითქოს მთელი მაღაზიის ყიდვას აპირებსო.

მახარე დაელოდა, სანამ ზონზროხა კაცი აავსებდა თავის ბადურებს და ისევ გაუმეორა გამყიდველს თავისი შეკითხვა.

გამყიდველი ახლა ვიღაც ქალს შეაჩერდა სახეში, რომელსაც ორჯერ მეტი ბადურები წამოეღო თან.

ასე კარგახანს გაგრძელდა. არც გამყიდველი, არც მყიდველი, არავინ ზედაც არ უყურებდა მახარეს, თითქოს არც კი ესმოდათ მისი ზრდილობიანი თხოვნა, ცოტა ხნით მეც მომისმინეთო.

ბოლოს, როგორც იქნა, ერთმა ჭაღარაულვაშებიანმა კაცმა მიაქცია ყურადღება:

– აქ რას ეძებ, ნამცეცა ბიჭო?

– ალისფერ საღებავს ვეძებ, რომელსაც ალისფერი ყვავილისგან ამზადებენ, – სხაპასხუპით მიაყარა გახარებულმა მახარემ, რადგან ბოლოს და ბოლოს ვიღაცამ რაღაცა ჰკითხა... – დათუნას ტორტი უნდა გამოუცხონ ბებიებმა დაბადების დღისთვის. თუ კრემის ვარდები ალისფერი არ იქნება, დათუნა ტორტს პირსაც არ დააკარებს. ხელოვნური საღებავის ხმარებაც არ შეიძლება, რადგან დათუნას ალერგია აქვს.

ჭაღარა კაცი ღიმილით უსმენდა, ბოლო სიტყვებზე თავი გადაექნია.

– როგორ თქვი? დათუნა ტორტს პირს არ დააკარებსო?

– ნამდვილად არ დააკარებს, – დარწმუნებით თქვა მახარემ.

– ოჰ, ოჰ, ეს საშინელება იქნება, – თქვა ჭაღარამ, – პატარა ბიჭებს ტორტი ძალიან უყვართ. მით უმეტეს, სადღეობოდ გამომცხვარი, როცა ანთებული სანთლები აქვს ჩამაგრებული და სულის ერთი შებერვით უნდა ჩააქრო. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჩვენს ქალაქში დიდი ხანია აღარ იშოვება ალისფერი საღებავი, რომელსაც ალისფერი ყვავილისგან ამზადებენ.

– რატომ აღარ იშოვება? – იკითხა შეწუხებულმა მახარემ.

ჭაღარამ მხრები აიჩეჩა.

– მაგაზე ვერაფერს გეტყვი, ის კი ნამდვილად ვიცი, რომ ვერ-

სად ვერ იშოვი, სანთლითაც რომ ეძებო.

– იქნებ სადმე, სხვა მაღაზიაში, სადაც უფრო ზრდილობიანი გამყიდველი იქნება... – წამოიწყო მახარემ.

– ტყუილი იმედია, – დარწმუნებით უთხრა მოხუცმა, – ამ ქალაქში ვერცერთ გამყიდველთან ვერ იშოვი ალისფერ საღებავს.

მახარე დაფიქრდა, შოკოლადისფერი წარბები შეჭმუხნა.

– თუ ასეა, მწვანე ტყეში წავალ იმ ალისფერი ყვავილის მოსაძებნად, – თქვა ორიოდე წუთის ფიქრის შემდეგ, – დათუნას ბებიებისგან გამიგია, ალისფერი ყვავილი ტყეში ხარობსო...

– მერედა შენ, ასეთი პატარა არსება, როგორ შეძლებ მწვანე ტყეში წასვლას მის საშოვნელად? იგი ხომ შორსაა აქედან...

– მაშინ დათუნა პირს არ დააკარებს ტორტს, – დაღონებით თქვა მახარემ, – ბებიებსაც წნევა აუწევთ და ვინ იცის რა მოხდება.

ამის გაგონებაზე ჭაღარამ კიდევ ერთხელ გადააქნია თავი.

– თუ ასეა, გასწი ტყეში ნამცეცა ბიჭო. იქნებ მართლა იშოვო ალისფერი ყვავილი, ასე მონდომებით რომ ეძებ. ოღონდ ფრთხილად იყავი, ხიფათს არ გადაეყარო.

როგორ ცდილობდა მახარე საკუთარი სახელის გამართლებას

მახარე ისევ გაუყვა ქალაქის ქუჩებს. რაც შეეძლო ჩქარობდა, მაგრამ მალე მიხვდა, რა სწრაფადაც არ უნდა ევლო, ძალიან დაგვიანდებოდა მწვანე ტყემდე მიღწევა, ამისთვის მანქანა იყო საჭირო. რა თქმა უნდა, ისეთ პატარა არსებას, როგორიც თვითონ იყო, მანქანას არავინ გაუჩერებდა, ამაში მწარე გამოცდილებით ბევრჯერ დარწმუნდა. ამიტომ მახარემ ტროტუართან ცოტა ხნით შეჩერებული მანქანების მძღოლებთან ამჯობინა გამოლაპარაკება.

– თუ შეიძლება, მწვანე ტყეში წამიყვანეთ, – მეტად ტკბილი ხმით სთხოვა მახარემ მშვენიერი, კრიალა მანქანის მძღოლს. – ალისფერი ყვავილი უნდა ვიპოვო, თურმე ქალაქში არ იშოვება.

ამას რომ ამბობდა, თავისი ბრჭყვიალა ქუდი მოიხადა და ჰაერში შეათამაშა, რათა მძღოლს დაენახა. მძღოლმაც შენიშნა იგი და თვალები აღტაცებით აუციმციმდა.

– რა ლამაზი სათამაშოა, ძალიან მოუხდება ჩემი მანქანის საქარე მინას, – წამოიძახა მან და კარები გააღო.

– მე სათამაშო არა ვარ, მე მახარე ვარ, – დინჯად აუხსნა მახარემ – მწვანე ტყეში მინდა წასვლა.

– ბიჭოს, ლაპარაკობს კიდეც, – თქვა გახარებულმა მძღოლმა და ხელი მისკენ გაიწოდა. მახარემ ძლივს მოასწრო მისი ხელიდან გასხლტომა.

ბევრი იარა მახარემ, ბევრი ეცადა, მაგრამ ვერცერთი მანქანის მძღოლის დაყოლიება ვერ შეძლო. ყურსაც არავი იბერტყავდა მის ლაპარაკზე. ერთხელ კინაღამ მანქანის კარებში მოჰყვა, რომელიც ცხვირწინ მიუჯახუნა მძღოლმა. ერთმა უშველებელმა მანქანამ კი, საშინელი გრუხუნით გადაუარა თავზე. ხმაურისგან გაბრუებულ მახარეს ეგონა, უკვე დამთავრდა ჩემი მოგზაურობა, ისე რომ არც დამიწყიაო. კიდევ კარგი, ბორბლები ასცდნენ, გვერდით, სულ ახლოს ჩაუქროლეს. მძღოლმა უკან მოიხედა, ყურებამდე გაიღრიჭა და მახარეს ანიშნა, რას იზამ, ძალიან პატარა არსება ხარ და დროზე ვერ შეგამჩნიეო. არადა, მახარეს არ გამოჰპარვია, რომ იგი მძღოლმა შეამჩნია და საგანგებოდ ამოუმატა სისწრაფეს, დამუხრუჭება არც კი უფიქრია.

– ეეჰ, – ამოიოხრა მახარემ. – როგორც ჩანს, არც ისე ადვილია ალისფერი ბუნებრივი საღებავის შოვნა, რითაც კრემის ვარდებს ისე ღებავენ, ნამდვილი გეგონება.

მაგრამ უკან დაბრუნება ერთი წამითაც არ უფიქრია, გზა გულადად განაგრძო. სცენაზე მახარე ვიყავი, ახლაც მახარე ვარ, ასეთ კარგ სახელს გამართლება სჭიდებაო, ფიქრობდა და ქალაქის ხმაურიან ქუჩებს მიუყვებოდა.

რითი ფასდება მანქანა?

უცბად მახარემ ერთი პატარა, მაგრამ ძალიან კოხტა მანქანა შენიშნა, იქვე ტროტუართან იდგა. მძღოლიც იქვე იყო, მანქანის კარებს მიეყრდნობოდა. საქარე მინაზე აბრა იყო დამაგრებული. მახარე ფრთხილა მიუახლოვდა.

აბრა შემდეგი შინაარსის აღმოჩნდა:

„იყიდება მანქანა

სიჩქარე 50 კმ/სთ.“

ქვემოთ კი უფრო მომცრო ასოებით ეწერა:

„სამაგიეროდ შეუძლია დროში მოგზაურობა“.

მახარემ მანქანა ყურადღებით დაათვალიერა, ცოტა არ იყოს, მოძველებული მოდელის აღმოჩნდა, მაგრამ მახარე ახლა ამას არ დაგიდევდათ, სიარულისგან ფეხები ერთიანად სტკიოდა.

– სიამოვნებით ვიყიდდი ამ მანქანას... – წამოიწყო მახარემ...

ძლივს მოასწრო ამ სიტყვების თქმა, რომ მანქანის პატრონი ელვის სისწრაფით მოტრიალდა მისკენ. თვალები ისე ანთებოდა, შუქფარები გეგონებოდათ, ხელი რკინის მარწუხივით ჩაავლო:

– იყიდე, მშვენიერი მანქანაა, საიმედოა, არ გიმტყუნებს, – თქვა ლითონისებური მჟღერი ხმით.

მახარეს სიმწრით სახე მოეღრიცა მისი რკინისებური მარწუხებისგან, მაგრამ მაინც თავისებურად ტკბილად დაასრულა სათქმელი...

– ...ფული რომ მქონოდა.

მძღოლმა ამის გაგონებაზე შეუშვა მარწუხისებური ხელი. თვალებშიც სანათლე მოაკლდა, ისინი ახლა ორ პატარა ნათურას დაემსგავსნენ.

– თუ ფული არ გაქვს, რაღას ყიდულობ, – შეუღრინა უკმაყოფილოდ.

– მე როდი ვყიდულობ, – თავმდაბლად შენიშნა მახარემ. – მე მხოლოდ ის ვთქვი, ვიყიდდი-მეთქი. ამ წუთში მე ძალიან მჭირდება მანქანა.

მძღოლი მას ყურს არ უგდებდა. იგი ძველ პოზაში მიეყრდნო მანქანის კარებს და ჩივილს მოჰყვა:

– ეს რა უბედურებაა, რამდენი ხანია ამ მანქანის გაყიდვა მინდა, ვერა და ვერ მოვახერხე. როგორც კი გაიგებენ მყიდველები, რომ 50 კმ-ზე მეტი სიჩქარე არა აქვს საათში, მაშინვე უკანმოუხედავად გარბიან. არავის არ უნდა ასეთი დაბალი სიჩქარის მანქანა, მე კი ძალიან მინდა მისი გაყიდვა. ფული მჭირდება, რათა ახალი მოდელის მანქანა ავაწყო, ბგერის სიჩქარეზე ნაკლები სიჩქარე რომ არ ექნება... ერთადერთი მყიდველი ვნახე, რომელმაც ჩემი მანქანა არ დაიწუნა და ისიც უფულოა.

მახარე თვალს არ აშორებდა მანქანის კარებზე მიყრდნობილ მძღოლს, მის უჩვეულოდ ლაპლაპა გარეგნობას უკვირდებოდა, ჩივილსაც გულდასმით უგდებდა ყურს. მას არ გამოპარვია ლითონისებური ბგერები, რაც ამ ჩივილში ისმოდა. ისიც თვალში ეცა, რომ მძღოლს თავი ჭადრაკის დაფასავით ჰქონდა აჭრელებული სხვადასხვა ფერის უჯრედებით.

– შენ რობიკო გქვია, არა? – ჰკითხა მახარემ.

– საიდან მიცნობ? – კითხვა დაუბრუნა მძღოლმა.

– დათუნას წყალობით.

– დათუნა ვინღაა...

– დათუნა არის მთელ დედამიწაზე ყველაზე ჭკვიანი და კარგი ბიჭი, – აღფრთოვანებით წამოიწყო მახარემ – მთელ დედამიწის ზურგზე თავში არავის არ მოუვა ისეთი აზრები, როგორიც დათუნას მოსდის ხოლმე. მე სწორედ მისგან გავიგე, რომ არსებობენ რკინის დიდი ადამიანები, ისინი რობოტები არიან. და კიდევ რკინის პატარა ადამიანიც არის სადღაც, მას რობიკო ჰქვია სახელად, თავი ჭადრაკის დაფას უგავსო. ეს სწორედ შენ ხარ.

რობიკოს თვალები მრავალფერადად აუციმციმდნენ, აშკარად ესიამოვნა ამის მოსმენა.

– ჭკვიანი ბიჭი ყოფილა, თუ ამდენი რამ იცის ჩემს შესახებ, – თქვა აჟღერებული ხმით, – კიდევ რა იცის?

– იცის, რომ ხუთი წლისაა...

– დიდი ამბავი – რკინის მარწუხი აგდებით ჩაიქნია რობიკომ, – ხუთამდე თვლა ბევრს არაფერს ნიშნავს.

– ...და კიდევ ფერებს არჩევს რაღაც არაჩვეულებრივად. თუ კრემის ვარდები ალისფერი არ იქნება, ტორტს პირსაც არ დააკარებს, – სასწრაფოდ დაუმატა მახარემ.

კრემის ვარდების ხსენებისას რობიკოს თვალები ჩაუქრა.

– კრემის ვარდების მე არაფერი გამეგება, ყოველთვის ძალიან მიკვირდა იმათი, ვისაც შეუძლია კრემის ვარდები ერთმანეთისგან რამეთი გაარჩიონ. ეს ჩემთვის უცხო სამყაროა...

– აბა რა გეგონა, – სიამაყით თქვა მახარემ, – დათუნას არაფერი შეეშლება, როდესაც საქმე კრემის ვარდებს ეხება, რაღაც იშვიათი ალღო აქვს ამ მხრივ.

... ახლაც ალისფერი საღებავის საძებნელად მივდივარ, დღეს დათუნას დაბადების დღეა და ტორტი უნდა გამოუცხონ. შენი მანქანა სწორედ ამისთვის მჭირდება... იქნებ ერთად წავსულიყავით, – მოხერხებულად ჩააკერა ლაპარაკში მახარემ.

რობიკოს თვალები კვლავ დაემსგავსნენ ორ პატარა ნათურას, წამით დაფიქრდა და ასეთი რამ თქვა:

– ჯერ მანქანა უნდა გავყიდო, ყველა პრობლემა მიმდევრობით უნდა გადაწყდეს. განა შეიძლება მეორე კითხვაზე გადახვიდე ამოცანის ამოხსნის დროს, როდესაც ჯერ პირველი არ გადაგიწყვეტია?

უცნობი ნაცნობები

უცბად შორიდან ყვირილი მოისმა. რობიკომ და მახარემ მიიხედ-მოიხედეს და ქოლგიანი კაცუნა დაინახეს, ბამბასავით თეთრი წვერულვაშით შემკული.

– ჰეი, დამიცადეთ! – ყვიროდა იგი და თავქუდმოგლეჯილი მორბოდა, – ნიავმა ამბავი მომიტანა, რობიკო და მახარე ალისფერი ყვავილის საძებრად მიდიანო. მეც თქვენთან ერთად უნდა წამოვიდე, ჩემზე კარგად არავინ იცის, სად შეიძლება მისი პოვნა.

ამ სიტყვებით ქოლგიანი კაცუნა სასწრაფოდ შეძვრა მანქანაში, სავარძელზე მოიკალათა და ქოლგა მუხლებზე დაიდო.

– წავედით, რაღას ვუცდით? – თქვა გაკვირვებულმა და კითხვის თვალით შეხედა დარჭობილივით მდგარ რობიკოს.

– ეს უცნაური არსება საიდან გამოგვეცხადა... – როგორც იქნა, გონს მოეგო რობიკო.

– განა არ იცნობ, რობიკო? – გაიბადრა მახარე – ეს ხომ ქოლგოსანია, ჩვენი საყვარელი ქოლგიანი კაცუნა. ერთი ჰკითხე მწვანე ტყის ბინადრებს, რა საოცარ ამბებს მოგიყვებიან მაგის შესახებ. ყველასათვის შინაურია მთელ მწვანე ტყეში, ყველაფრის ენა ესმის... ვინ მოსთვლის, რამდენი ბაჭიასთვის ამოუღია თითიდან ეკლები, ანდა რამდენი ბარტყისთვის უსწავლებია ფრენა, როცა ისინი ჯიუტობდნენ და დედა-ჩიტებს არ უჯერებდნენ. ქოლგოსანი ამ დროს ტოტიდან ტოტზე დახტის თავისი ქოლგით და ბარტყებს ასე ეძახის: მოდი აქ, პატარა ჩიტუნიავ, ნახე, რა მსუქანი ჭია ვიპოვე...

– შენ თვითონ ვინ გაგაცნო ქოლგოსანი? – იკითხა რობიკომ, თან ეჭვით უთვალთვალებდა თოვლივით თეთრ წვეროსან კაცუნას. ჩანდა, მისი ვერაფერი გაეგო.

– როგორ თუ ვინ, დათუნამ, – საყვედურნარევი ხმით უთხრა მახარემ, – დათუნა ჩვენ ყველას შესანიშნავად გვიცნობს, ჩვენ კი, როგორც ჩანს, ერთმანეთს არ ვიცნობთ. აბა, ეს როგორ შეიძლება.

– მაგაში მართალი ხარ, ეს ყველაფერი როგორღაც უცნაურად გამოიყურება, – თქვა რობიკომ და ქოლგოსანს რკინის მარწუხი გაუწოდა. ქოლგოსანმა ხელი შეაგება მაშინვე, – ოღონდ უნდა აღვნიშნო, რომ ნიავს ამბავი მთლად სწორად ვერ მოუტანია შენთვის. ამოცანა მიმდევრობით უნდა გადაწყდეს, ჯერ მანქანა უნდა გავყიდო...

– ყური კარგად დამიგდე, რობიკო, – წამოიწყო ქოლგოსანმა და ხელი წვერ-ულვაშზე ჩამოისვა დარბაისლურად, – შენს მანქანას

სულერთია, ვერ გაყიდი. დღეს არავის არ უნდა ისეთი მანქანა, რომელიც ასეთი დაბალი სიჩქარით დადის. ანუ, უფრო ზუსტად რომ ვთქვა ჩემი სათქმელი, იმ საშუალებით ვერ გაყიდი, რასაც დღემდე მიმართავდი. რაღაც ახალი საშუალებაა საჭირო, ახალი იდეა.

– მერედა, როგორია ეს ახალი იდეა? – იკითხა რობიკომ.

– ჯერჯერობით არ ვიცი, – თქვა ქოლგოსანმა – იქნებ მერე მოვიფიქრო, დრო მჭირდება. მე ხომ მწვანე ტყეში დავიბადე და გავიზარდე, შენსავით სწრაფად ვერ ვაზროვნებ. სანამ ალისფერ ყვავილს ვიპოვიდეთ, ამ ხნის განმავლობაში უეჭველად მოვიფიქრებ.

– ყველაზე ძვირად იდეა ფასობს, – წამიძახა გახარებულმა მახარემ.

რობიკოს ეს ფრაზა ძალიან მოეწონა.

– დათუნამაც თუ იცის, რომ ყველაზე ძვირად იდეა ფასობს? – ჰკითხა მახარეს.

– იცის რომელია, – უპასუხა მახარემ – სწორედ მისგან გავიგონე...

რობიკო საჭეს მიუჯდა.

– როგორც ეტყობა, მართლა ჭკვიანი ბიჭი ყოფილა დათუნა. – თქვა მან დინჯი ხმით, – მე დაგეხმარებით ალისფერი ყვავილის მოძებნაში, რათა დათუნას ალისფერივარდებიანი ტორტი გამოუცხონ. თქვენ კი თქვენი ახალი იდეით დამეხმარეთ მანქანის გაყიდვაში.

– რა კარგია! – ტაში შემოჰკრა მახარემ და ისიც მანქანაში შეძვრა.

ქოლგოსანის საოცრად ბრძნული წინადადება

– მაინც მართალი გამოდგა ნიავი, – შენიშნა ქოლგოსანმა, თან რობიკოს გადახედა, – მწვანე ტყეში არასოდეს არ ტყუიან, იქ გავრცელებული ხმები ყოველთვის სწორია.

– უკეთესი იქნება, დროზე გვითხრა, სად ვეძებოთ ალისფერი ყვავილი, – შეახსენა რობიკომ, – უნდა მოვასწროთ, სანამ დათუნა გაიღვიძებდეს.

– მაგას რა კითხვა უნდა, მწვანე ტყისკენ უნდა გავწიოთ, – გამოეხმაურა მახარე – ალისფერი ყვავილი მწვანე ტყეშია.

– მწვანე ტყისკენო, ასე თქვი არა, ჩემო ბიჭუნი, – ავიშვიშდა

ქოლგოსანი, თან წრიალებდა და ადგილს ვერ პოულობდა თავისი ქოლგისთვის. ძალიან კარგი. გავწიოთ მწვანე ტყისკენ, იქ ახლა ისე გარგია. მწვანე ბალახი ბიბინებს, წყაროები მოჩუხჩუხებენ, რომლებშიც კალმახები დასხმარტალებენ... რა სჯობია იქ ყოფნას, ერთს კარგად გამოვიძინებ წყაროს პირას, ძალიან დავიღალე... – ქოლგოსანმა თვალები მილულა.

– ჩვენ კალმახები კი არა, ალისფერი ყვავილი გვჭირდება, – შეახსენა მახარემ.

– ჰო, მართლა, – თვალები დააჭყიტა ქოლგოსანმა, – სიბერეს რა ვუთხრა, ერთი წამით კიდეც დამავიწყდა, აქ რისთვის მოვედი. მე იმის თქმას ვაპირებდი, რომ მწვანე ტყეში ვერ ვიპოვით ალისფერ ყვავილს.

– რას ამბობ, – შეიძახა მახარემ – მწვანე ტყეში იმდენი ყვავილია...

– დიახ, მწვანე ტყეში ბევრი ყვავილია, მაგრამ მათ შორის აღარაა ალისფერი ყვავილი, რომლისგანაც ალისფერ საღებავს ამზადებენ, – სიტყვა ჩამოართვა ქოლგოსანმა.

– შეუძლებელია.

– მე, ქოლგოსანმა ვიცი, რასაც ვამბობ, როცა საქმე მწვანე ტყეს შეეხება, – იწყინა კაცუნამ, – მე თვითონაც ძალიან მიყვარს ის ალისფერი ყვავლი, ჩემს ქოლგას ვრთავდი ხოლმე იმით. უკანასკნელი ყვავილით აღარც კი მახსოვს, როდის მოვრთე ქოლგა.

– ის შენი დაპირება რაღას ნიშნავდა, – ღელავდა მახარე.

– ახლავე გეტყვით, ნუ ჩქარობთ. სიჩქარე საქმეს ყოველთვის ვნებს. მით უმეტეს ასეთ მნიშვნელოვან საქმეს... ჩემი დაპირება იმას ნიშნავდა რომ... ერთი სიტყვით, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ჩვენ ალისფერი ყვავილი უნდა მოვძებნოთ... წარსულში.

– წარსულში? – წამოიძახა გაკვირვებულმა მახარემ.

– დიახ, წარსულში, თუ არ ვცდები, რობიკოს მანქანის აბრაზე აწერია, რომ დროში შეუძლია სვლა. ანდა ვინ იცის, იქნებ ეს რეკლამაა და მეტი არაფერი?

– არაფერი მაგის მსგავსი, – გაცხარდა რობიკო – ჩემს მანქანას ნამდვილად შეუძლია დროში სვლა, ამაში თქვენ ახლავე დარწმუნებით. ოღონდ ამისთვის ჯერ მაქსიმალური სისწრაფე უნდა განვავითარო, რისი განვითარებაც ჩემს მანქანას შეუძლია.

ამ სიტყვებით რობიკომ ძრავა ჩართო, მანქანა რბილად გასრიალდა ასფალტზე.

ახალი თანამგზავრი

მართალია, რობიკოს მანქანა ძალიან ნელა მოძრაობდა, სულ რაღაც ორმოცდაათი კილომეტრით საათში, მაგრამ ჩვენს მგზავრებს მაინც ძალიან ესიამოვნათ, რომ ბოლოს და ბოლოს ადგილიდან დაიძრნენ. მახარე თვალებდაქცეული იყურებოდა ღია ფანჯრიდან, მოსწონდა ნაირ-ნაირი სანახაობები, რომლებიც კინოკადრებივით მიჰყვებოდნენ ერთმანეთს. ქოლგოსანმა რამდენიმე წუთის განმავლობაში იბუტბუტა და იხვნეშა: „ოჰ, როგორ დავიღალე, დასვენება მჭირდება, უკვე ასაკმაც მიწია, ჩემი ხნის ქვაც აღარ დაგორავს მიწაზე. როგორც კი ალისფერ ყვავილს ვიპოვით, აუცილებლად დავისვენებ მწვანე გრილ ტყეში, წყაროს პირას გამოვიძინებ...“

რობიკო ყურს არ უგდებდა ქოლგოსანის ბუტბუტს, გზას გაჰყურებდა ანთებული თვალებით. ქუჩებში ისეთი ჭედვა იყო, ვერაფრით ვერ შეძლო მაქსიმალური სიჩქარის განვითარება. კარგა ხნის წვალების შემდეგ, როგორც იქნა თავი დააღწიეს ხმაურიან ქუჩებს და ქალაქგარეთ ამოყვეს თავი.

– მაინცდამაინც შესაფერისი ამინდი არაა მოგზაურობის დასაწყებად, – თქვა რობიკომ, როგორც კი ქალაქს გაცდნენ, – აუცილებლად იწვიმებს. შეხედეთ, რა შავი ღრუბელია ცაზე.

მახარემ მაშინვე მაღლა აიხედა, ცას დაუწყო თვალიერება. ქოლგოსანმაც თავი ანება ფაცი-ფუცს, მანაც ცას მიაპყრო თვალი, ღრუბლის დანახვაზე სახე გაებადრა.

– ნუ დარდობ, წვიმა არ იქნება.

– საიდან იცი? – დაინტერესდა რობიკო.

– ეს ხომ შავი ღრუბელია...

– მერე რა...

– რა და, წვიმა დაეკარგა. რახანია ცდილობს, მაგრამ ვერა და ვერ შეძლო წვიმად მოსვლა.

ამასობაში შავი ღრუბლის ქვეშ მოექცნენ და მისი გაავებული ბუზღუნიც შემოესმათ:

– ეჰ, რა დრო იყო! წვიმის წვეთებს ნიაღვარივით დავუშვებდი ქვემოთ, რისხვად ვატყდებოდი სასეირნოდ გამოფენილ ბავშვებს და პეპლებს, ტოტებს დავუზნიქავდი მწვანე ხეებს, ყველაფერს ცივ წყალს გადავავლებდი. ჩემს მოსვლას ყველა კარგად გრძნობდა... შიშით თვალს ვერ მისწორებდნენ, მოკრძალებით ამომხედავდნენ ხოლმე. ახლა აღარაფრად მაგდებენ, ქოლგასაც კი აღარავინ ატა-

რებს თან, ქოლგოსნის გარდა...

ასე ბუზღუნებდა შავი ღრუბელი, თან სიბრაზისგან შიგადაშიგ გრუხუნებდა ხოლმე, ნაპერწკლებსაც აფრქვევდა.

– რა გაურკვევლად ლაპარაკობს, ვერაფერი გავიგე – ჯთქვა რობიკომ.

მახარესაც, ცოტა არ იყოს გაუძნელდა, მაგრამ ძალიან დაძაბა ყურადღება და გაიგო, რას ბუზღუნებდა შავი ღრუბელი. მაშინვე თვალები აუწყლიანდა, შეეცოდა წვიმადაკარგული ღრუბელი.

– მოდი, თან წავიყვანოთ, "– შესთავაზა თანამგზავრებს.

– რისთვის, – გაიკვირვა ქოლგოსანმა – რა უნდა გააკეთოს წარსულში. წვიმას იპოვის, თუ რა. თუ პოვნაა, აქაც იპოვნიდა.

– შეიძლება ვერც წვიმა იპოვოს, ვერც ვერაფერს მიაღწიოს ამით, მაგრამ ცოტათი ხომ გაერთობა? გულს გადააყოლებს მოგზაურობას. სულ ასე ცუდ ხასიათზე ყოფნა ძალიან ძნელია. შეიძლება წნევამ აუწიოს. არც არავინ ჰყავს გვერდით, რომ სამკურნალო წვეთები დაუსხას, – აქ მახარეს გაახსენდა, დათუნას ბებიები წვეთებს რიგრიგობით როგორ უსხამდნენ ერთმანეთს.

– მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, რობიკოს სთხოვე ნებართვა, – თქვა ქოლგოსანმა.

– თუ შენი ძველი ნაცნობია, წამოვიდეს, – ქოლგოსანს მიმართა რობიკომ.

– როგორც ეტყობა, იდეა მართლაც ყველაზე ძვირფასი რამეა ამქვეყნად, – ყურში უჩურჩულა მახარემ ქოლგოსანს, – რობიკომაც შესანიშნავად იცის მისი ფასი. უფრო თავაზიან მასპინძელს ვერსად შეხვდები.

– ყველაფერს თავისი დრო აქვს, – საპასუხოდ ასე უჩურჩულა ქოლგოსანმა მახარეს და მანქანიდან გადახტა. მარჯვედ გაშალა თავისი ქოლგა და ისე სწრაფად დაატრიალა, თვითმფრინავის პროპელერი გეგონებოდათ. თან კალიასავით დახტოდა აქეთ-იქით. ბოლოს ერთი მაგრად დაჰკრა ფეხი მიწას, მაღლა შეხტა და ცაზე მობუზღუნე შავი ღრუბელისკენ გაფრინდა თავისი ქოლგით. რამდენიმე ხანს წერტილივით მოჩანდა, მერე სულაც თვალს მიეფარა. ახლა ცაზე მხოლოდ შავი ღრუბელი ჩანდა. უეცრად ეს ღრუბელი ადგილიდან დაიძრა, მანქანისკენ გამოემართა. რობიკო ეჭვით უთვალთვალებდა, მახარეც აწრიალდა. როგორც იქნა, ქოლგოსანიც დაინახეს, გაშლილი ქოლგა გამოედო შავი ღრუბლისთვის და ძალისძალით მოათრევდა.

– ეჰ, ამაოა ყველაფერი, ამაო... – ბუზღუნებდა შავი ღრუბელი, – მე წვიმას ვერასოდეს ვერ ვიპოვი.

– იპოვი, ნუ გეშინია, – უთხრა ქოლგოსანმა, მანქანის კარები გამოაღო და შავ ღრუბელს უბიძგა.

– ვერა, ვერ ვიპოვი. – ამ სიტყვებით შავი ღრუბელი მანქანაში შეძვრა.

შავმა ღრუბელმა მანქანაში დიდი დავიდარაბა გამოიწვია. ჯერ იყო და მთელი მანქანა აავსო, დანარჩენებისთვის ადგილი აღარ დარჩა. თანაც სულ ნაპერწკლებს აფრქვევდა, მის გვერდით თავს მშვიდად ვერ იგრძნობდი.

– ასე არ შეიძლება, შავო ღრუბელო, – ტკბილი ღიმილით უთხრა მახარემ. – თანაც ეს ნაპერწკლები... სჯობია მათ გაუფრთხილდე, იქნებ სხვა დროისთვის უფრო გამოგადგეს.

შავმა ღრუბელმა ერთი კი გაუსწორა თვალი მახარეს, მის ტკბილ ღიმილს და მაშინვე დაემორჩილა, რაც კი შეეძლო, შეიკუმშა. ოღონდ ამ შეკუმშვის შედეგად ძალიან ჩამუქდა, უფრო საშიშარი შესახედავი შეიქნა.

მერე მისთვის ადგილის მოძებნაზე ატყდა ერთი ამბავი. რობიკომ ლითონისებური ხმით გამოაცხადა, ჩემს გვერდით ასეთ თანამგზავრს ვერ მოვითმენო, მანქანის მართვაში ხელს შემიშლისო. ბოლოს ასე განაწილდნენ: რობიკოს გვერდით მახარე უნდა დამჯდარიყო, შავი ღრუბელი და ქოლგოსანი უკანა სავარძლებს დაიკავებდნენ.

შავმა ღრუბელმა ლამის მთელი სავარძელი მიისაკუთრა, მის გვერდით ქოლგოსანი ძლივსღა ჩანდა... თან ვერა და ვერ ისვენებდ, რამდენჯერმე გაუცვალა ადგილი ქოლგოსანს, ხან მარჯვნივ უნდოდა დაჯდომა, ხან მარცხნივ...

– შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება, – თქვა ამის თაობაზე რობიკომ.

მოგზაურობა წარსულში

რობიკომ ხელახლა ჩართო ძრავა, მანქანა ადგილიდან დაიძრა. მალე სიჩქარის მაჩვენებელზე ისარმა ციფრ 50-ს მიაღწია. ეს იმას ნიშნავდა, რომ ისინი უკვე მაქსიმალური სიჩქარით მიჰქროდნენ. აქ

რობიკომ რკინის მარწუხი გაიწოდა და რომელიღაც ღილაკს შეეხო. სიჩქარის მაჩვენებლის გვერდით ეკრანი აინთო, მასზე ელვისსისწრაფით მიჰყვებოდნენ ერთმანეთს ციფრების სვეტები. თვალები ორბიტებში დაუტრიალდნენ რობიკოს, რაც დაძაბულ გონებრივ მუშაობაზე მიუთითებდა. რობიკო დროში სამოგზაუროდ ემზადებოდა, ამისთვის კი უამრავი განტოლების ამოხსნა იყო საჭირო.

მალე მათ ირგვლივ რაღაც უცნაური ამბები დატრიალდა; ასფალტით დაფარული გზა, რომელზეც ისინი მიჰქროდნენ, სადღაც გაქრა. ჯერ არაფერი ჩანდა, ნაირფერადი გაურკვეველი კორიანტელის გარდა, რომელიც სპირალივით ბრუნავდა მანქანის ირგვლივ. მერე ის სპირალიც გაჰქრა და მოგზაურებმა მწვანედ დაბურულ ტყეში ამოყვეს თავი.

– სადა ვართ? – იკითხა გაოცებულმა მახარემ.

– ზუსტად იქ, სადაც ვიყავით, – გამოეხმაურა რობიკო.

– კი, მაგრამ ასფალტიანი გზა ?

– წარსულში მის ადგილას ტყე იყო.

ამ დროს ხვრინვის ხმა შემოესმათ, თურმე ქოლგოსანს ჩასძინებოდა.

– ქოლგოსანო, გაიღვიძე, წარსულში ვართ უკვე, – შესძახა მახარემ.

ქოლგოსანმა ბარაქიანი ამოხვრინვა დაუბრუნა პასუხად. თეთრი, მსუბუქი წვერ-ულვაში ბუმბულივით უფრიალებდა.

შავმა ღრუბელმა ითავა მისი გაღვიძების საქმე, წარრრრრსულში ვარრრთ! ისე დასჭექა, რომ ქოლგოსანი ნახევარ ადლზე შეხტა და გამოეღვიძა.

– რა საჭიროა ამდენი აურზაურის ატეხა, ისედაც გავიღვიძებდი, – აბუზღუნდა იგი, პირველი გადახტა მანქანიდან. მახარე და შავი ღრუბელიც გადმოვიდნენ და იქაურობას დაუწყეს თვალიერება.

საოცარი სილამაზე სუფევდა მათ ირგვლივ. სიმწვანე ისე ბარაქიანად ბიბინებდა, თავის დღეში რომ ენახათ. ათასფერ ყვავილებს მოერთოთ იქაურობა. მათ შორის, ფერის სიმკვეთრით გამოირჩეოდა ალისფერი ყვავილი, სწორედ ის, რისგანაც ძალზე ჭახჭახა ფერის ალისფერ ბუნებრივ საღებავს ამზადებენ.

– ოჰ, რა სილამაზია! – თვალები აღტაცებით აუციმციმდა მახარეს.

– ნეტავი შემეძლოს ამ ალისფერი ყვავილების წვიმით მორწყვა, – ამოიოხრა შავმა ღრუბელმა. – ერთი ორად გავალამაზებდი...

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, ძახილი მოესმათ.

– რაღას უყურებთ, წავედით./..

ქოლგოსანი ეძახდათ. მას დრო არ დაუკარგავს, სასწრაფოდ ამოთხრა მიწიდან ალისფერი ყვავილის ნერგი და ახლა უკვე მანქანაში იყო მოკალათებული. რაც შეეხება რობიკოს, იგი საერთოდ არ გადმოსულა მანქანიდან. მახარე და შავი ღრუბელიც შეძვრნენ მანქანაში. რობიკომ ძრავა ჩართო, მანქანა მწვანე ხავერდივით რბილ მოლზე გაგორდა. ფერადი სპირალი ისევ დატრიალდა მათ ირგვლივ, მომცრო ეკრანზე ციფრები ელვისისწრაფით კვლავ ცვლიდნენ ერთმანეთს. მალე ფერადი სპირალიც გაქრა, ისინი ისევ იმ ასფალტიან გზაზე იდგნენ, საიდანაც მოგზაურობა დაიწყეს.

– მოვედით, – ახმაურდა ქოლგოსანი – ახლა ამ ნერგს მწვანე ტყეში დავრგავ, რათა ისევ იხაროს. ყვავილს კი მოვწყვეტ და მისგან ალისფერ ბუნებრივ საღებავს დავამზადებთ. მე ვიცი, როგორ მზადდება იგი.

ქოლგოსანს არავინ გამოხმაურებია. ყველანი რაღაც მეტისმეტად სევდიანი გამომეტყველებით შეჰყურებდნენ იმ ნერგს, რომელიც მას ასე მოწიწებით ეპყრა ხელთ. გაოცებულმა ქოლგოსანმა თვითონაც დახედა ნერგს და ნახა, რომ სულ ერთიანად გამხმარიყო, უსიცოცხლო ღეროები ეპყრა ხელთ.

– ნეტავი რა დაემართა? – გაოცებით იკითხა ქოლგოსანმა, – ასე მალე როგორ გახმა...

ამ შეკითხვის გაგონებისას რობიკომ ჭადრაკის დაფასავით აჭრელებული თავი მოაბრუნა და მწვანე უჯრას შეახო რკინის მარწუხი. მწვანე უჯრაში მცენარეების შესახებ ჰქონდა ცნობები. ზუსტად ერთი წამი სდუმდა რობიკო, თან თვალებს ატრიალებდა, მერე კი ასეთი რამ თქვა:

– ახლა უკვე ცნობილია, თუ რატომ გახმა მწვანე ნერგი. ეს მხოლოდ ჩვენთვის გავიდა ძალიან ცოტა დრო, თორემ ნერგისთვის თითქმის მთელი საუკუნე გავიდა. ეს ხომ მწვანე მცენარეა, მუდამ ცვალებადი, ცოცხალი არსება, საკუთარი დროის რიტმი გააჩნია, რომელიც არ ემთხვევა ჩვენი მოგზაურობის დროის რიტმს. ამიტომაც გახმა. თუ ჩემს განმარტებაში ეჭვი გეპარებათ, შეგიძლიათ ჩემი ამოხსნილი განტოლებები შეამოწმოთ.

მოგზაურობა მომავალში

რობიკოს ახსნა-განმარტება ყველამ კარგად გაიგო, განმარტებების შემოწმებაზე თავი არავის გამოუდვია, ისედაც ყველაფერი ნათელი იყო. მანქანაში ყველამ მოიწყინა.

– ამას არაფრით არ ველოდი, – ბუტბუტებდა ქოლგოსანი.

– ეჰ, ჩემო წვიმავ, – ხვნეშოდა შავი ღრუბელი.

მახარეს დარდისგან ფერი სულ დაკარგოდა.

– რაღა გვეშველება, – ბუტბუტებდა იგი ოდნავ გასაგონი ხმით. – დათუნა ტორტს პირსაც არ დააკარებს.

რობიკო რაღაც ანგარიშებში იყო გართული, მას არც კი გაუგონია თანამგზავრების წუწუნი.

ყველაზე პირველი ისევ ქოლგოსანი გამოერკვა.

– ახლა ისღა დაგვრჩენია, მომავალში ვეძებოთ ალისფერი ყვავილი, – თქვა მან. – დროში მოგზაურობა ხომ მომავალსაც გულისხმობს წარსულის გარდა. ხომ ასეა რობიკო?

– ეს ისეთივე ცხადია, როგორც ორჯერ ორი. – მიუგო რობიკომ და სატერფულს ფეხი დააჭირა. მანქანა დაიძრა ადგილიდან.

ყველანი ისევ მოკალათდნენ სავარძლებზე. სახე ყველას იმედმა გაუნათა, შავი ღრუბლის გარდა, იგი ისევ ბუზღუნებდა: „ეჰ, ჩემო წვიმავ, სადა ხარ...“

მალე ნაცნობი ფერადი სპირალი დატრიალდა მათ ირგვლივ, ოღონდ ჩვენმა მგზავრებმა შეამჩნიეს, რომ იგი ახლა საწინააღმდეგო მიმართულებით ბრუნავდა. ცოტა ხანში ასფალტიანი გზის ნაცვლად ხავერდივით მობიბინე მწვანე ველზე ამოყვეს თავი, რომელიც ათასფერ ყვავილებს შეემკო. მათ შორის ალისფერი ყვავილიც ღაღანებდა.

– ისევ წარსულში მოვხვდით? – იკითხა შეცბუნებულმა მახარემ.

– ეს ნამდვილად მომავალია, იმ ასფალტიანი გზის მომავალი. ეს მე არ შემეშლება, გაანგარიშება ზუსტად მიჩვენებს, – მკვეთრი ხმით გამოეპასუხა რობიკო.

ქოლგოსანმაც მაშინვე დაადასტურა, რომ ნამდვილად მომავალში იმყოფებოდნენ.

– შეხედეთ ამ ხეებს, – მიუთითა მან ტანსრულ, მწვანით უხვად გაბადრულ ხეებზე. – ისინი წარსულში ასე დიდები არ იზრდებოდნენ, უფრო ტანმორჩილნი იყვნენ, მწვანე მოლიც უფრო რბილია და მაღალი. ალისფერი ყვავილებიც თითქოს ზეიმობენ, ისეთი გალა-

ღებული იერი აქვთ. თანაც რა ლამაზად არიან შეხამებული გარემოს. აშკარად ეტყობათ, მზრუნველი ხელი და თვალი. მათთვის საგანგებოდაა შერჩეული ადგილი, მე ამას ძალიან კარგად ვამჩნევ.

მახარემ უფრო მეტი ყურადღებით მიიხედ-მოიხედა და თვითონაც უამრავი განსხვავება შენიშნა წარსულის და მომავლის ორ სურათს შორის.

– ერთი რამ მაკვირვებს, – თქვა მახარემ. – ასფალტიანი გზა სადღა გაქრა? თუ იქნებ აღარც სჭირდებათ ასფალტი, ისეთი მანქანები აქვთ მომავალში.

– ჩვენ მაგას შემდეგ გავარკვევთ, როცა სამაგისო დრო გვექნება, – მოუჭრა ქოლგოსანმა. – ახლა უკან უნდა დავბრუნდეთ, რაც შეიძლება სწრაფად. ძალიან მეჩქარება იმ ალისფერი ყვავილის დარგვა ჩვენს ტყეში. თუ ჩვენ არ გავახარებთ ალისფერ ყვავილს, არც ეს მშვენიერი სურათი გვექნება მომავალში. თანაც, ხომ იცით, დათუნა პირს არ დააკარებს ტორტის ნაჭერს, თუ ალისფერი კრემით არ იქნება დამშვენებული...

ყველანი დაეთანხმდნენ ქოლგოსანს, იმანაც მწვანე ნერგი წყლით სავსე ქილაში მოათავსა და ისევ რობიკოს ოსტატობას მიანდეს მანქანის მართვა. კვლავ დატრიალდა ფერადი სპირალი მათ ირგვლივ, ოღონდ მას ახლა აღარავინ აქცევდა ყურადღებას, ყველანი მწვანე ნერგს მისჩერებოდნენ. ნერგი მშვენივრად გამოიყურებოდა, მწვანედ გაუდიოდა ღაღანი. ოღონდ მასზე თვალმიპყრობილმა მოგზაურებმა ერთი უცნაურობა შეამჩნიეს: ნერგი როგორღაც იცვლებოდა მათ თვალწინ. ფოთლებმა განსხვავებული ფორმა მიიღეს, ყვავილის ფერიც როგორღაც შეიცვალა... და როცა ჩვენმა მოგზაურებმა ისევ ასფალტიან გზაზე ამოყვეს თავი, იმ დროისთვის სულ სხვა მცნარის ნერგი შერჩათ ხელში, რომელსაც თოვლივით თეთრი ყვავილი ამშვენებდა.

– ეს რა დაემართა ჩვენს ალისფერ ყვავილს, – ერთხმად წამოიძახეს ქოლგოსანმა და მახარემ.

– ეჰ, ჩემო წვიმავ, – ამოიოხრა შავმა ღრუბელმა.

ციფრებით თავგამოტენილმა რობიკომ ცოტაოდენი დაფიქრების შემდეგ მწვანე უჯრაში ამაზეც იპოვა პასუხი:

– მწვანე მცენარე ცოცხალი არსებაა, მუდამ ცვალებადია. იგი განუწყვეტლივ გადადის ერთი ფორმიდან მეორეში, მასში მყოფი ნივთიერებები ნეშომპალის სახით ხვდებიან ნიადაგში. მერე ისევ სხვა მცენარეების შემადგენელ ნაწილად იქევიან. ესაა ფორმის და შინაარსის განუწყვეტელი ცვალებადობა. დღეს რომ ალისფერი

ყვავილია, ხვალ შეიძლება თოვლისფრად მოგვევლინოს ამ მრავალ-ჯერადი გადასვლის შედეგად... და პირიქით. ჩვენ ამ ცვლილებების მოწმენი გავხდით.

– საშველი აღარ ყოფილა, – მოიხვნეშა ქოგოსანმა. – ვეღარ ვიპოვით ალისფერ ყვავილს.

– კი, მაგრამ ჩვენ ეს-ესაა საკუთარი თვალით ვნახეთ მომავალში ალისფერი ყვავილი, – შეეკამათა მას მახარე – ესე იგი აუცილებლად ვიპოვით.

– მაგაში მართალი ხარ, – დაეთანხმა გახარებული ქოლგოსანი. – ეს სულ დამავიწყდა. ვიპოვით ალისფერ ყვავილს, მაგრამ როგორ?

– ვიპოვით ალისფერ ყვავილს, მაგრამ როგორ?

ლამის ერთხმად გაიმეორეს დანარჩენებმა და ღრმად ჩაფიქრდნენ. რობიკოც ჩაფიქრდა, რაკი დარწმუნდა, რომ მანამდე ვერ ეღირსებოდა ახალ იდეას, სანამ ალისფერ ყვავილს არ იპოვნიდნენ. თვით შავ ღრუბელსაც კი წამით გადაავიწყდა თავისი დაკარგული წვიმა, რომლის შესახებაც ბუზღუნით გამოუჭედა ყველას ყურები. „დიახ, ეჭვიც არ მეპარება, რომ ვიპოვით ალისფერ ყვავილს“ – ბუტბუტებდა იგი, შუბლს იჭმუხნიდა და კიდევ უფრო საშიშარ იერს იღებდა: – „მაგრამ როგორ ვიპოვით? საკითხავი აი ეს არის...“

იქ პოულობენ, სადაც არავინ ეძებს.

რამდენიმე წუთით მანქანაში სიჩუმე გამეფდა. არავინ არ იძროდა, თითქოს ქანდაკებებად იქცნენო. ფიქრის დანახვა რომ შესაძლებელი ყოფილიყო, ალისფერ ყვავილს დაინახავდით ალბათ, რაღაც სასწაულით ამ ძველ მანქანაში ამოსულს, რამეთუ ყველას ფიქრები მას დასტრიალებდა თავს.

სიჩუმე ქოლგოსანმა დაარღვია.

– ცხიკ! – ბარაქიანად დააცხინკა მან.

– სიცოცხლე! – ზრდილობიანად უთხრა მახარემ.

– გმადლობთ, ცხიკ! ცხიკ! – ისევ დააცხინკვა ქოლგოსანმა და ვეღარც გაჩერდა, – ნამდვილად გავცივდი... ცხიკ! აბა რა დაგემართება, ამდენი ხნის განმავლობაში შავ ღრუბელთან ვარ ჩახუტებული. ასეთ სინესტეში ყოფნა... ცხიკ... ცხიკ... სადღა შემიძლია,

ახალგაზრდა კი აღარ ვარ, წვერულვაში სულ მთლად გამითეთრდა. ცხიკ, ქოლგას მაინც გავშლი, ცოტათი ვუშველო თავს. ისე სასაციილო შესახედავი კი ვიქნები: სად გაგონილა, მანქანაში იჯდე და თან ქოლგა გეფაროს თავზე, ცხიკ, ცხიკ...

ქოლგოსანი ქოლგის გაშლას შეუდგა, სახელურს დაეჯაჯგურა. ახლა ამაზეც აბუზღუნდა, სინესტეში მგონი ჩემი ქოლგაც დაიჟანგაო. თან გაუთავებლად აცხინკვებდა... როგორც იქნა, გაშალა ქოლგა, გაიშალა და... მაშინვე ალისფერი ყვავილის ქორფა ნერგი გამოჩნდა.

ყველამ განცვიფრებით დააჭყიტა თვალები, გაოგნებულები შესცქეროდნენ თავიანთი ფიქრების განსახიერებას. ქოლგოსანმა ის-ის იყო პირი დააღო დასაცხიკვებლად, მაგრამ შუა ადგილას შეწყვიტა და შემდეგ აღარ დაუცხიკვებია.

პირველი ისევ ქოგოსანი მოეგო გონს.

– ეს როგორ დამავიწყდა, საკუთარი ქოლგა დამეთვალიერებინა! – წამოიძახა და შუბლზე გამეტებით იტკიცა ხელი, – მე ხომ ალისფერი ყვავილით ვრთავდი ჩემს ქოლგას, თესლი ჩავარდნილა რბილ ხავსში.

ქოლგოსანის ქოლგა თურმე შიგნიდან ხავსის თხელი ფენით ყოფილიყო მოგებული. თუ იქ მცენარის თესლი ჩავარდებოდა, სულ ადვილად შეიძლებოდა გაღვიძებულიყო... აკი ასედაც მოხდა, სანამ ჩვენი მოგზაურები სულ სხვაგან ეძებდნენ ალისფერ ყვავილს.

შავი ღრუბლის სიახლოვემაც შეუწყო ხელი. სინესტით უხვად გაჟღენთილ ხავსში თესლი გაღვივდა და ნერგმაც მოასწრო ამოსვლა.

– ეს მე არ უნდა დამმართოდა, – საკუთარ თავს საყვედურობდა ქოლგოსანი, – ადრეც მომხდარა ასეთი რამ, მინახავს ჩემს ქოლგაში ამოსული ნერგი და საკუთარი ხელით გადამირგავს მიწაში. სირცხვილით თავი სადღა გამოვყო. არ გამამხილოთ მაინც...

– ნუ გეშინია, არავის არაფერს ვეტყვით, – შეჰპირდა მახარე.

ქოლგოსანი დამშვიდდა და ახლა შავ ღრუბელს მიუბრუნდა.

მეგონა ცუდი მეზობელი მყავდა, – წამოიწყო მან – თურმე რა სანატრელი ყოფილხარ. შენ რომ არა, როგორ იხეირებდა ალისფერი ყვავილის ნერგი?

ამ სიტყვებით ქოლგოსანი გადაეხვია შავ ღრუბელს. იმანაც სამაგიეროდ გამოუწოდა მოსახვევნად რბილი, ფუმფულა თათები, რომელშიაც სულ ჩაეფლო ქოლგოსანი. მახარემ და რობიკომ ხელი ჩაავლეს ქოლგოსანს, ღრუბლის თათებიდან დაიხსნეს, თან გულიანად იცინოდნენ. პირველმა გაოგნებამ გაუარათ, ახლა გზა მისცეს

სიხარულს. უხაროდათ, რომ ამდენი წვალების და ფათერაკების მიუხედავად (ეს ცოტა გადაჭარბებულია, მაგრამ ამათ ასე ეჩვენებათ) მაინც იპოვეს ალისფერი ყვავილი. მწვანე ველ-მინდვრებს ისევ დაამშვენებდა მისი ღაჟღაჟა ფურცლები, ქოლგოსანი ისევ მორთავდა თავის ქოლგას. მახარეს ტყუილუბრალოდ რომ არ ერქვა სახელად „მახარე“, ეს დღესავით ცხადი იყო, სცენა თუ ყოველდღიური ცხოვრება ერთმანეთისგან არაფრით არ განსხვავდებოდნენ მისთვის... და რაც მთავარია, დათუნა უარს არ იტყოდა ტორტის ჭამაზე, კრემის ვარდები ნამდვილი ვარდებივით ლამაზები იქნებოდნენ.

ყველაზე მეტად სწორედ ეს უხაროდათ ჩვენს მოგზაურებს. დათუნა, ასეთი საოცარი ბიჭი, რომლის მსგავსი აზრებიც თავში არავის არ მოსდის მთელი დედამიწის ზურგზე, მადიანად ჩაკბეჩდა სადღეობო ტორტს. ამის წარმოდგენისას ყველას სიხარულის ცრემლები გადმოსცვივდა. თვით რობიკოსაც კი, ამ რკინის კაცს, რაღაც საეჭვოდ უბრწყინავდა თვალები.

– ახლა მხოლოდ ერთი საკითხი რჩება მოსაგვარებელი, – თქვა ქოლგოსანმა, თან ცრემლებს ბამბასავით თეთრი წვერით იმშრალებდა, – მწვანე ნერგი რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავრგოთ ნოყიერ მიწაში, რათა მალე გაიზარდოს და ალისფერი ყვავილი გაიფურჩქნოს. ალისფერი საღებავიც დასამზადებელია, ეს ყველაფერი განა მოესწრება დათუნას გაღვიძებამდე?

ჯიდევ ერთი ნაპოვნი

უცბად საშინელი ჭექა გაისმა, ყველანი შიშისგან შეკრთნენ. ქოლგოსანი რაღაც ძალამ ერთ მხარეს გადააგდო, მისი ქოლგა კი მეორე მხარეს.

ეს შავი ღრუბელი იყო.

– ვიპოვე! წვიმა ვიპოვე! – გრუხუნებდა იგი. დიდი სიხარულისგან ხმა ველარ მოზომა, ისე ჭექდა და ქუხდა, ლამის ყველაფერი დაენგრია.\ როგორც ვთქვით, სიხარულისგან ყველას ცრემლები სცვიოდა, მათ შორის შავ ღრუბელსაც. ჰოდა შავი ღრუბლის ცრემლები ხომ წვიმაა...

სიხარული სიხარულზე მოემატა შავ ღრუბელს, როცა საკუთარი ცრემლები, ანუ წვიმა იხილა. ველარ გაჩერდა, მაღლა ცისკენ

აიჭრა, გაიშალა, გაიფორმა, ღვარივით წასკდა სიხარულის ცრემლები, ანუ წვიმა. თან საოცრად მაღალი ხმით გრუხუნებდა:

– წვიმა ვიპოვე! რახანია ვეძებდი და როგორც იქნა, ვიპოვე...

მანქანიდან გადატყორცნილმა ქოლგოსანმა ძლივს წამოიწია, თუმცა გაბრაზება არ ეტყობოდა. რას იზამ, ცეცხლივით ხასიათი აქვს, მაგრამ გულბოროტი არაა, ბუზღუნებდა შავი ღრუბლის მისამართით. ასე ბუზღუნით გაემართა თავისი ქოლგისკენ, მწვანე ნერგი ამოაცალა ხავსის ფენიდან და მიწაში ჩარგო. თავსხმა წვიმა არ წყდებოდა, შავი ღრუბელი მთელ ცას გადაეფოფრა, ელვის ისრებსაც არ იშურებდა... ჩვენი მოგზაურები მყუდროდ ისხდნენ მანქანაში, თვალმოუცილებლად შეჰყურებდნენ მწვანე ნერგს და... რა დაინახეს! ნერგი თვალთვალ იზრდებოდა, საოცარი სისწრაფით მატულობდა სიმაღლეში, ყლორტებსაც სულ უფრო და უფრო ფართოდ შლიდა... ეს კიდევ არაფერი, სულ მალე მის გვერდით უამრავი მწვანე ნერგი აღმოცენდა, ისინიც თვალდათვალ იზრდებოდნენ და იტოტებოდნენ.

აი უკვე კოკრებიც გამოიღეს მწვანე ნერგებმა და სულ მალე. ალისფერმა ყვავილებმა გაუღიმეს თვალებადქცეულ მოგზაურებს.

არავის არ გაჰკვირვებია, რაც ახლა ნახეს. ყველა მიხვდა, რაშიც იყო საქმე: შავმა ღრუბელმა ხომ სიხარულის ცრემლებით მორწყა მწვანე ნერგი... ჰოდა მათ სასწაულის მოხდენა შეუძლიათ, რაღაც საოცრად სწრაფად იზრდებიან და იფურჩქნებიან სიხარულის ცრემლებით მორწყული ყვავილები, მათ სილამაზით ვერცერთი სხვა ყვავილი შეედრება. ასეთი ლამაზი ალისფერი ყვავილები ჯერ არ მინახავსო, აკი ასე თქვა კიდეც ქოლგოსანმა, როცა შავმა ღრუბელმა ბოლოს და ბოლოს შეწყვიტა ცრემლების ღვრა, მის ნაცვლად მზემ გამოანათა. მზის სხივებზე ისეთი ძალით აბრიალდნენ ალისფერი ყვავილები, გუზგუზა კოცონი გეგონებოდათ.

ყველაზე ძვირად იდეა ფასობს

ყველაფერი თითქოს მოგვარდა, ძალიან ცოტა რამ რჩებოდა გასაკეთებელი, ოღონდ გადადებაც არ შეიძლებოდა. ქოლგოსანიც მაშინვე დაფაცურდა, ალისფერი ყვავილი მოწყვიტა და მარჯვე ხელებით იქვე გამოწურა წვენი, რომელიც რობიკომ ჭიქაში მოაგროვა.

– მოდი, ერთად წავუღოთ დათუნას, – უთხრა ქოლგოსანმა მახარეს – მეც მაინტერესებს იმ ბიჭის ნახვა, რომლის შესახებ უკვე ამდენი რამ ვიცი.

მახარე მაშინვე დაეთანხმა, ორივემ ქოლგას ჩაავლო ხელი. ის-ის იყო ქოლგოსანს ფეხი უნდა დაეკრა მიწაზე, მაგრამ რობიკოს ლითონისებურმა ხმამ შეაჩერა.

– დაიცა, ქოლგოსანო, სადაა შენი დაპირებული ახალი იდეა?

– ჰო, მართლა, – თქვა ქოლგოსანმა – რამდენი ხანია მინდოდა მეთქვა, კიდევ კარგი გამახსენე. შენი აბრა სადღაა?

რობიკომ სიტყვის უთქმელად გაუწოდა თავისი ძველი აბრა.

(ალბათ მკითხველს ემახსოვრება, თუ რა შინაარსის იყო იგი).

ქოლგოსანმა აიღო აბრა, ძველი წარწერა წაშალა და ახალი დაანერა, რის შემდეგ აბრამ შემდეგი სახე მიიღო:

„იყიდება მანქანა,

შეუძლია დროში მოგზაურობა.“

ქვემოთ კი მომცრო ასოებით ეწერა:

„სიჩქარე 50 კმ/სთ.“

– შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება, – თქვა ქოლგოსანმა და ახალი აბრა გაუწოდა რობიკოს.

რობიკოს აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა.

– ეს მართლაც ბრწყინვალე იდეაა! – დაიგუგუნა მთელი ხმით. – ახლა კი აუცილებლად გავყიდი მანქანას. ყველაზე დიდი მოთხოვნილება სწორედ ისეთ მანქანებზეა, რომლებსაც დროში მოგზაურობა შეუძლიათ.

გახარებულმა რობიკომ ყველაფის თავიდან დაწყება გადაწყვიტა, ამ მიზნით კი თავისი მანქანა ზუსტად იმ დროში დააბრუნა, როცა პირველად განიზრახა მანქანის გაყიდვა. ეს დრო, იღბლად, ზუსტად იმ დროს დაემთხვა, როცა დათუნას ჯერ კიდევ ეძინა, ხოლო ბებიები ის-ის იყო იწყებდნენ ტორტის თადარიგს.

ჯიდევ ერთი სიხარულის მოლოდინში

ახლა კი ჩვენი მოთხრობა დასასრულს მიუახლოვდა. ქოლგოსანმა და მახარემ უკვე მოასწრეს ალისფერი ბუნებრივი საღებავის მოტანა. ბებიები მაშინვე შეუდგნენ საქმეს, თან ერთი წამითაც არ

გამოუთქვამთ გაკვირვება, ალისფერი საღებავი აქ საიდან გაჩნდაო. ეს ძალზე საოცარი იყო. ალბათ ქოლგოსანმა მოახერხა რამე, მას ხომ ბევრი რამ შეუძლია თავისი ქოლგით.

მახარე ისევ იმ თაროზე იყო შემოსკუპული, სადაც ამ მოთხრობის დასაწყისში შევხვდით. თავის თავგადასავალს ჩურჩულიღ უყვებოდა ხავერდის დათუნიას და ფრთახატულა ხოხობს, რათა დათუნა არ გაეღვიძებინა.

სხვათაშორის, მახარემ ცოტაოდენი ცვლილებებით უამბო თავისი თავგადასავალი ხავერდის დათუნიას და ხოხობს. არაფერი გაუზვიადებია. მხოლოდ ის არ გაამხილა, თუ როგორ იპოვა ქოლგოსანმა ალისფერი ყვევილი საკუთარ ქოლგაში. მახარემ უბრალოდ აღნიშნა, რომ ალისფერი ყვავილი ქოლგოსანმა იპოვა, ხოლო სად და როგორ, ამაზე კრინტიც არ დაუძრავს. კიდევ კარგი, მის მსმენელებს არ გაუმახვილებიათ ყურადღება ამაზე. არც რობიკოს წამოსცდება რაიმე ქოლგოსანის მარცხის შესახებ. მან იმთავითვე წაშალა ამ შემთხვევის ისტორია, რაც თურმე მწვანე უჯრედში ჰქონდა ჩაწერილი. როგორც ვიცით, მწვანე უჯრედში რობიკოს მცენარეების შესახებ ჰქონდა ჩაწერილი ცნობები.ასე რომ, მისი წაშლის შემდეგ, რობიკომ აღარც მწვანე მცნარეების შესახებ იცის რამე. რომ მოკლა, ანუი ნაწილ-ნაწილ რომ დაშალო, ერთმანეთისგან ვერ განასხვავებს გამხმარ ჩხირს და მწვანე ყლორტს. მხოლოდ შავი ღრუბელი არაა მთლად სანდო, ცოტა არ იყოს, თავქარიანი ხასიათის გამო (აბა როგორი ხასიათი ექნება იმას, რომელსაც ნიავქართან ასეთი მჭიდრო მეგობრობა აქვს). მაგრამ ალბათ გახსოვთ, რომ შავი ღრუბელი ძალიან გაურკვევლად ლაპარაკობს, უფრო სწორად, ბუზღუნებს, მისი გაგება ძალიან ძნელია. ამას გარდა, არც არავინ იწუხებს თავს მის მოსასმენად. დაინახავენ თუ არა, ყველა სადღაც გარბის და იმალება.

ჯერჯერობით კი შავი ღრუბელი ღია ფანჯრის წინ გამოკიდებულიყი და ოთახში იჭვრიტებოდა, მძინარე დათუნას უთვალთვალებდა. დათუნა უკვე იშმუშნებოდა, ჩანს გაღვიძებას აპირებდა. საცაა გაიღვიძებდა და გაიხარებდა სადღეობო ტორტის ნახვით, რომელიც წუთი-წუთზე მზად უნდა ყოფილიყო. ცხადია, ტორტი ალისფერი კრემის ვარდებით იქნებოდა მორთული. ეს განსაკუთრებით გაახარებდა დათუნას. სწორედ ამას ელოდა შავი ღრუბელი, მას კიდევ ბევრი ჰქონდა სიხარულის ცრემლები... ანუ წვიმა.

ოქროს ნიაქორი

ხანდახან მზის სხივებსაც უყვართ თამაში. ეს მეტად მშვენიერი სანახაობაა, იმდენად მშვენიერი, რომ მასზე დაუსრულებლად შეიძლება ლაპარაკი. ყველაფერს ისევ საკუთარი თვალით ნახვა სჯობია, ამ მიზნით კი არ უნდა დაიზაროთ და ერთ სისხამ დილით შორს უნდა გასცდეთ ქალაქის ხმაურიან ქუჩებს, ამის შემდეგაც კარგა ხანს მოგიწევთ სიარული. უკან მოიტოვეთ გაფურჩქნული ბაღ-ბოსტნები, მოშრიალე ხეივნები, გვერდი აუარეთ მწვანეზე გაშლილ ცხვრის ფარას, მთვლემარე მწყემსებს, დაბღვერილ ქოფაკებს, უფრო მაღლა აიღეთ გეზი. მანამდე არ შეჩერდეთ, სანამ თქვენს წინაშე ობელისკივით მაღალი სალი კლდე არ აიღმართება. ეს კლდე უბრალო არ გეგონოთ, იგი ჯადოსნურია. აი მისი გამოსაცნობი ნიშნები, სხვა რომელიმე კლდეში რომ არ აგერიოთ: ბუმბერაზ გოლიათს წააგავს, ცის ტატნობზე რომ უძრავად გარინდებულა. შუბლზე ნისლის ფთილა გადაჰფენია. ციცაბო ფერდები სარკესავით უკრიალებს და ეს კრიალა ფერდები გარკვეული კუთხითაა დახრილი დედამიწის სიბრტყის მიმართ. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რაც სულ მალე ცხადი გახდება...

მალე მზეც ამოსხლტა ცისკიდურს მიღმა, ჯადოსნურ კლდეს ოქროს სხივების ჯიღა დაადგა, სიზმარივით გააქრო იქვე მოფარფატე ნისლი, ძვირფასი თვლებივით ააბრჭყვიალა დილის ნამი. ეს მართლაცდა უმშვენიერესი, მაგრამ ჩვეულებრივი სურათია, ჯერჯერობით უჩვეულო არაფერი ხდება. მაგრამ აი, მზემ შეიმაღლა. მის სხივებს ელვარება მოემატათ. სხივების კონები ახლა არა მარტო კლდის შუბლს, თვითკლდის ფერდებსაც დაეფინა. თან ეს კონები სულ უფრო დაბლა იხრებიან იმის კვალობაზე, თუ რამდენად მაღლა იწევს

მზე. დგება წამი, როცა მზის სხივების დახრილობა დაემთხვევა სალი კლდის ფერდების დახრილობას, სასწაულებიც მაშინ იწყება...

აი, მზის სხივი დასხლტა სალი კლდის ფერდზე. როგორც ვიცით, ყველა სხივი სწორხაზოვანია ისარივით. ეს ცხადია მზის სხივსაც ეხება. უცბად, თითქოს ცეკვა მოესურვაო, სხივების კონა წკნელივით შეირხა და გადაიზნიქა, ოქროვან რკალებად გარდაისახა. თვალდათვალ შეიკრა მერე ეს რკალები, თამაშ-თამაშით დაცურდა სალ კლდეზე, თან რამდენჯერმე გადაკოტრიალდა და, როცა კლდის ძირას დაეშვა, მწვანე მდელობზე ოქროს ბატკანმა იწყო ბაკუნი.

მიჰყვნენ მერე დანარჩენი სხივები იმ მოცეკვავე სხივთა კონას, თითქოს მობეზრდათო უზადო სწორხაზოვანი ფორმა... ჯერ ლერწმებივით ირხეოდნენ და სხლტებოდნენ კლდის ფერდებიდან, მერე ოქროვან რკალებად იკერებოდნენ, თითქოს თვით სინათლე ქსოვდა ნაირნაირ სხეულებს. ისინიც რამდენჯერმე გადაკოტრიალდებოდნენ კლდის დამრეც ფერდზე და ასე თამაშ-თამაშით ეშვებოდნენ ძირს. საკმარისი იყო მწვანე მდელოსთან ოდნავი შეხება და თქვენს წინაშე უმშვენიერესი ოქროს სხეული იწონებდა თავს. ასე მიჰყვა ოქროს ბატკანს თიკანი, ბომბორა ძაღლი, ცხადია, ისიც ოქროსი. ოქროს ირემი, ოქროს მგელი, ოქროს ლომი და სხვაც მრავალი, ყველას რა ჩამოთვლის... ერთი სიტყვით, ყოველგვარი ცოცხალი არსება, რაც კი მზის ქვეშ გაჭაჭანებულა, ოქროს სხეულად გარდასახული იწონებდა თავს ჯადოსნური კლდის ძირას. ოქროს ფრინველებიც გამოერივნენ მათში, ისინი ცხოველებთან შედარებით უფრო სწრაფად სხლტებოდნენ სალი კლდის ფერდებზე, უფრო თამამად ეშვებოდნენ დაბლა ჰაერში ტრიალით, მერე კი ჰერი, გაშლიდნენ ოქროს ფრთებს და დაფრინავდნენ ჰაერში, ოღონდ სალ კლდეს დასტრიალებდნენ თავზე, შორს არ მიუწევდათ გული. მზე ღიმილით დაჰყურებდა თავისი სხივების მშვენიერ ფერისცვალებას. მზე ხომ მუდამ იღიმება, ჰოდა, ამ საოცრების მომსწრე როგორ არ გაიღიმებდა...

ძნელია ყოველივე ამის დაჯერებაო, ალბათ იტყვით. მე კიდევ მინდა გკითხოთ: ოდესმე თუ მიგიქცევიათ ყურადღება, თუ როგორ ჰგავს ერთმანეთს მზის სხივი და ოქრო, ვითომ შემთხვევითია ეს მსგავსება? ძველისძველი სიბრძნე ღაღადებს, ამქვეყნად შემთხვევითი არაფერიაო. ეს მსგავსება იმის ნიშანია, რომ მზის სხივს შეუძლია ოქროს სხეულად გარდასახვა, თანაც ცოცხალ ოქროს სხეულად და არა უმოძრაო ფიტულად. ამიტომაა ეს სანახობა ასე მშვენიერი, ასე გულიანად სწორედ ამიტომ იღიმება მზე. თუმცა თქვენ რომ შესწრე-

ბოდით ამ სანახაობას (იმედი მაქვს, რომ ოდესმე ასედაც მოხდება), ვერც თქვენ შეძლებთ გულგრილ მაყურებლად დარჩენას. აბა, როგორ არ გაგეცინებოდათ იმის დანახვაზე, თუ როგორ დარბაისლურად გამობრძანდა მწვანიანზე ოქროს ზღარბი, იქვე ოქროს კუს გადაეყარა და ორივემ აქეთურ-იქითურზე გააბა მუსაიფი. სულ ახლოს გველი ეფიცხებოდა მზეს, მის გვერდით ოქროს თხა და ოქროს მგელი დაობდნენ რაღაცაზე. თხა ხომ ძალზე ჯიუტი ცხოველია, არც მგელი უთმობდა, დიდი გაწევ-გამოწევა ჰქონდათ. ბოლოს მაინც მორიგდნენ და ერთად იწყეს დაჭერობანას თამაში. ცოტათი მოშორებით ოქროს ირემი გარინდულიყო, თითქოს სურათის გადასაღებად ემზადებაო, ქორბუდა რქები ოქროს ჯიღასავით ედგა თავზე. მალე ოქროს ავაზამ გადმოჭიმა ყირა და კინაღამ გველი მოიყოლა ქვეშ. იმანაც დროზე უგანა, ოქროს სპილოს შემოეხვია ხორთუმზე. მანაც მაღლა შემართა ოქროს ხორთუმი, რომელიც თითქოს გაორმაგდა. იქვე ოქროს ფარშევანგი დაგოგმანობდა, კუდს ხან მაღლა გაშლიდა, ხან დაკეცავდა, თან თვალს აქეთ-იქით ავლებდა, აბა, თუ მიყურებენო. და ვინ ჩამოთვლის, რამდენი ოქროს არსება იწონებდა თავის იმ დღეს სალი კლდის ძირას. ყველანი ერთად ანცობდნენ, ლაღობდნენ, ეს მათი ზეიმის დღე იყო. თვითონაც ხარობდნენ და სხვებსაც ახარებდნენ, მოსწონდათ მწვანიანზე თამაში...

ცხადია, ოქროს ნიამორიც გამოერია მათში. აბა, უამისობა როგორ იქნებოდა, ჩვენი ზღაპრის გმირი ხომ სწორედ ისაა. ისიც აბაკუნდა მწვანიანზე, ძალიან მოეწონა აქაურობა. ის კი არადა, მგონი ყველაზე მეტად მოეწონა. ძალიან გალაღდა, ისედაც ტანმსუბუქი და ლაღი. ყველაზე უფრო ფართო ნახტომებს აკეთებდა ოდნავღა თუ ეხებოდა მიწას თავის კოხტა ჩლიქებით და აქვე ზამბარასავით სხლტებოდა, კვლავ ახალი ნახტომისათვის მზადმყოფი. ერთ-ერთი ასეთი ნახტომის დროს ოქროს ნიამორი შორს გასცდა სალ კლდეს და შემთხვევით ერთმა პატარა ბიჭმა მოჰკრა თვალი.

- ოქროს ნიამორი! - შესძახა ბავშვმა და თვალები სიხარულით გაუბრწყინდა.

ნიამორი მიხვდა, საკუთარი თავი გავეციო. დაჰკრა ფეხი, კვლავ სალ კლდესთან გაჩნდა, თავის ოქროს თანამოძმეებთან, ისევ მოჰყვა კუნტრუშ-თამაშს, ოღონდ იმ ბავშვის გაბრწყინებული თვალები არ შორდებოდა გონებიდან. უცბად შედგა, სალ კლდეზე აირბინა, მზისკენ მიაბრუნა თავი და მოკრძალებით სთხოვა, ნება მომეცი გრძნეული დღის გასრულების შემდეგაც დავრჩე დედამიწაზეო.

- მე არავის არაფერს ვუკრძალავ, - ღიმილით თქვა მზემ, - მთავარია, თვითონ გერჩოდეს გული.

- კი მაგრამ, როგორ? - იკითხა ოქროს ნიამორმა, - რა უნდა ვიღონო?

- აი, ამას კი თვითონ უნდა მიხვდე, - თქვა მზემ და იქვე დაუმატა, არის ამქვეყნად ზოგიერთი რამ, რომელიც ყველამ თვითონ უნდა მოისაზროს, სხვისი რჩევა არ უნდა დასჭირდესო.

ოქროს ნიამორი დაფიქრებული გასცილდა მზეს. თავს იმტვრევდა, ნეტავი მზის სიტყვები რას უნდა ნიშნავდესო. უცბად მის ცხვირწინ ოქროს ფარშევანგმა გაშალა კუდი.

- არც იფიქრო დედამიწაზე დარჩენა, - გააფრთხილა ფარშევანგმა, თან დრო არ დაუკარგავს, ფართოდ კუდგაშლილმა დავლური ჩამოუარა მწვანეზე, - ეს ძალიან სახიფათოა, მზის სხივებს მხოლოდ გრძეულ დღეს აქვთ ოქროს სხეულად გარდასახვის უნარი. სხვა დღეებში ისინი ვერაფერს შეგმატებენ, თუნდაც დილიდან საღამომდე მზის გულზე იყო მიფიცხებული. ნისლივით განიმქვრევა შენი ოქროს სხეული და აუცილებლად დაიღუპები.

- ეგ მეც ვიცი, - გაეპასუხა ნიამორი, თან ფეხი აუწყო ფარშევანგს, მასთან ერთად გაინავარდა მწვანეზე, - მაგრამ უნდა გითხრა, მეტისმეტად მომეწონა აქაურობა, პირდაპირ მოხიბლული ვარ. ამას გარდა, შემთხვევით ბავშვმა დამინახა და ძალიან გაუხარდა. თითქოს პატარა მზეაო, ისე გაუბრწყინდა თვალი. მეც გამიხარდა, ასეთი სიამოვნება რომ მივანიჭე...

- ყველაზე უფრო მეტად საკუთარი სიხარული უნდა გიხაროდეს, - დამრიგებლურად უთხრა ფარშევანგმა. - ნუღარ დაეძებ ვიღაც-ვიღაცეების გაბრყწინებულ თვალებს. სალ კლდეს შორს აღარ გასცდე. როგორც კი მზე სხივების აკრეფას დაიწყებს, უნდა მოასწრო და სხივის ბილიკზე გადაინაცვლო სალი კლდიდან. რაიმე სხვა გზით მზის წიაღში დაბრუნებას შენ ვეღარ შეძლებ. აი, თვით ოქროს მერცხალიც კი, ასე რომ უყვარს ჰაერში ნავარდი, შორს არ მიფრინავს იმის შიშით, ვაითუ მზის ჩასვლა გამომეპაროსო. არ დაგავიწყდეს! - აქ ფარშევანგი შედგა, კუდი დაკეცა, რათა მეტი წონა მიეცა საკუთარი სიტყვებისთვის, - ჩვენ, მზის შვილები, მხოლოდ გრძნეულ დღეს ვფლობთ მიწის და ზეცის ბილიკებს.

ოქროს ფარშევანგმა კვლავ გაშალა კუდი და მწვანეზე დაუარა, ნიამორიც მორჩილად მიჰყვა. თვითონაც კარგად იცოდა, რაც ფარშევანგმა უთხრა, მაგრამ მაინც მადლობელი იყო შეხსენებისთვის.

მშვენიერი სურათი მოქარგეს მწვანე მდელოზე, მერე სხვებიც შეემატნენ, ნამდვილი ფერხული ჩააბეს. ოქროს კუ გაერია მათში. მართალია, კუმ ნაბიჯი ვერ აუწყო ფერხულს, მაგრამ მაინც ლამაზი სანახავი იყო. ოქრო ხომ ყველაფერს ალამაზებს ამქვეყნად.

ცეკვავდა ოქროს ნიამორი თავის ოქროს მეგობრებთან ერთად, თავზე ოქროს ფრინველები დასტრიალებდნენ, მზე ოქროვან სხივებს აფრქვევდა და თვალისმომჭრელად აბრჭყვიალებდა მის ულამაზეს სხეულს. ეს ყოველივე ძალზე მშვენიერი იყო, მაგრამ ნიამორს მაინც თვალწინ ედგა ბავშვის გაბრწყინებული თვალები, თან მზის სიტყვებიც არ აძლევდა მოსვენებას, რატომღაც ასე ეჩვენებოდა, მათ შორის რაღაც კავშირიაო.

- ერთხელ კიდევ დავენახვები რომელიმე ბავშვს, - თქვა გულში, მზის ჩასვლამდე ჯერ კარგა დიდი დროა.

ნელ-ნელა განაპირდა, როცა დრო იხელთა, დაჰკრა ფეხი, რამდენიმე ფართო კამარა შეკრა... და მართლაც დაენახვა, ოღონდ ბავშვს კი არა, ერთ მაშვრალ ადამიანს. ჭირნახულს დასტრიალებდა და ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა დაღლილ სახეზე. გაოცება და სიხარული ერთად დაეტყო თვალებში ოქროს ნიამორის დანახვისას. შედგა, ზეციისკენ მადლიერი მზერა მიმართა:

- გმადლობ ზეცაო, ასეთი მშვენიერი ხილვა რომ გამომიგზავნე, ძალა შემმატა მკლავში.

მერე ისევ თავის საქმეს მიუბრუნდა. მართლაც, უფრო ხელმარჯვედ და ხალისიანად ირჯებოდა.

- როგორც ჩანს, ბავშვების გარდა სხვებსაც უხარიათ ჩემი დანახვა, - თქვა ოქროს ნიამორმა. მასაც გაუხალისდა გული, უფრო ლაღად გაინავარდა, ცოტა ხანში ისევ გაიმეორა თავისი ფანდი და ახლა ხანშიშესულ ქალს გადაეყარა, ტყის პირას ფიჩხს რომ აგროვებდა და წელში ოთხად მოკაკულიყო მძიმე ტვირთისგან. მანაც გაოცებით შესძახა, ოქროს ნიამორიო, ერთხანს უძრავად იდგა, თითქოს თვალს არ უჯერებსო. მერე კი, როცა ეს უცხო ჩვენება გაქრა. ისევ გააგრძელა ნაბიჯი, ოღონდ ბევრად უფრო მხნედ მიაბიჯებდა, თვალები კი საოცრად უბრწყინავდა სიხარულით.

მერე ისევ ბავშვებს გადაეყარა ოქროს ნიამორი. თითქოს ძველ მეგობრებს შეხვდაო, ისე იგრძნო თავი, მოისმინა მათი აღტაცებული ყიჟინა, თვითონაც გაიხარა მათი სიხარულით და ისევ სალ კლდესთან გაჩნდა. საერთოდ, ბავშვებთან შეხვედრა ჯობდა ყველაფერს. თვითონაც ყველაზე მეტად სწორედ მაშინ ლაღობდა. თუმცა არც

პოეტთან შეხვედრა იყო ურიგო; ო, როგორ გაუხარდა მისი დანახვა. აღფრთოვანებული სიტყვებით მიმართა. ეძახდა, ევედრებოდა, ცოტა მეტ ხანს დააყოვნე ჩემთან, ჩემს ლექსებს სიცოცხლე და სილამაზე შთაბერეო. ოქროს ნიამორმა არ დაუშვა მისთვის გამონაკლისი, მიუხედავად ხვეწნა-მუდარისა, სხვაზე მეტხანს არ დარჩენილა მასთან, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია პოეტისათვის, რომ მშვენიერი ლექსი შეექმნა ოქროს ნიამორის შესახებ, სხივმოსილ მოჩვენებასავით რომ გაიელვა მწვანე ხეებს შორის და ელვის უსწრაფესად გაქრა. ახლა მხატვრებს არ იკითხავთ, როგორ უხაროდათ ოქროს ნიამორის დანახვა? გადაჭარბებული სულაც არ იქნებოდა, თუ ვიტყვით, რომ ეს შეხვედრა ნამდვილი ზეიმი იყო მათთვის. თითქოს ცოცხლდებოდა მათი ნახატი, ნიამორის ნახტომივით მსუბუქი და ლაღი ხდებოდა მათი მონახაზი, ფერები კიდევ ცისარტელასავით იწყებდნენ ელვარებას. თუნდაც მუსიკოსები ვთქვათ. სხვებზე ნაკლებად არც მათ უხაროდათ ასეთი უცხო არსების ხილვა. ნამდვილ ოქროს სიმფონიებს ქმნიდნენ მისი ეშხით და ლაზათით მოხიბლულები.

ძალიან ფრთხილობდა ოქროს ნიამორი, წამზე მეტ ხანს არსად შეჩერებულა, ფარშევანგმა ბოლოს მაინც შეამჩნია რაღაც, მრავალმნიშვნელოვნად გადმოხედა და ჩაილაპარაკა: მშვენივრად ცეკვავს ჩვენი ოქროს ნიამორი და გულით ვისურვებდი, მომავალ ჯადოსნურ დღეებშიც შეძლოს ჩვენთან ერთად ცეკვა, მაგისთანა მეწყვილის დაკარგვა არ მინდაო. ნიამორმა ვითომ ვერაფერი გაიგო, მზეს მიაპყრო თვალი. მზის ჩასვლამდე ჯერ კიდევ ბევრი დრო იყო დარჩენილი, კიდევ ბევრჯერ შეძლებდა თავის ნაცადი ფანდის განმეორებას, ბევრ ვინმეს დაენახვებოდა და გაახარებდა.

მზე უკვე დასალიერს უახლოვდებოდა, როდესაც ოქროს ნიამორი თეთრი თმაწვერით შემოსილ, ხანშიშესულ მწყემსს გადაეყარა. იქვე ცხვრის ფარა ძოვდა. მწყემსმა გაოცებით წამოიყვირა, მაშინვე წამოხტა და გულხელი მლოცველივით დაიკრიფა.

- მთელი ცხოვრება ვნატრობდი შენს ნახვას, - ათრთოლებული ხმით თქვა მწყემსმა, - მთაში თუ ბარში, სულ მუდამ დაგეძებდი. მჯეროდა შენი არსებობა, თუმცა მხოლოდ ზღაპრის გმირად გსახავენ. მადლობელი ვარ, ცხოვრების მიწურულს მაინც რომ გნახე.

მოხუცებულ მწყემსს ნაკადულივით წასკდა სიხარულის ცრემლი. ოქროს ნიამორი შეცბა, ჯერაც არავის ეტირა მისი დანახვისას. აქ შეყოვნდა, მიუხედავად იმისა, რომ დრო ცოტა ჰქონდა დარჩენილი. ოქროს ჩლიქებით აბაკუნდა მოხუცი მწყემსის წინაშე, მბზინავი

კისერი მოიღერა, შემომხედე და გაიხარეო.

- დარჩენილ წლებს გამილამაზებს შენი ნახვით მოგვრილი სიხარული, - თქვა მოხუცებულმა მწყემსა, - ოღონდ ერთსა გთხოვ და უარს ნუ მეტყვი: ამ მთის გადაღმა ჩემი შვილიშვილები ცხოვრობენ. ბევრჯერ მიამბნია მათთვის ზაღაპარი შენს შესახებ, თუმცა ყოველთვის ვეუბნებოდი, ხანდახან ზღაპარიც სინამდვილედ იქცევა-მეთქი. ამიტომ თვალი ფართოდ გაახილეთ, არ გამოგეპაროთ, თუ შემთხვევით სადმე გადაეყრებით მშვენიერ ოქროს ნიამორს. თითქოს სჯეროდათ ჩემი სიტყვები, მაგრამ ვატყობდი, ბოლომდე მაინც ვერ იჯერებდნენ. გასწი მათთან, იმათაც დაენახვე, შენს არსებობაში ეჭვს აღარასოდეს შეიტანენ.

ოქროს ნიამორი მოხიბლა მოხუცი მწყემსის გულმხურვალე სიტყვებმა, ყურადღებით მოუსმინა და მერე მზეს უსწორა ფიქრიანი მზერა. უკვე სალ კლდესთან უნდა ვიყოო, გაივლო გულში, თუ დამაგვიანდა, ვეღარ დავბრუნდები მზის წიაღში.

მოხუცმა მწყემსმა შეატყო ყოყმანი.

- მე ვიცი, იშვიათად ეშვებიან მიწაზე მზის შვილნი, - მიმართა მან მის წინაშე მობაკუნე უცხო ჩვენებას. - კიდევ როდისღა მოგვეცემა ასეთი მარჯვე შემთხვევა... დაენახვე პატარებს. ტყის პირას განმარტოებით დგას მათი სახლი, ადვილად იპოვი, მთელი სიცოცხლე თან გაყვებათ შენი დანახვით მოგვრილი სიხარული. სიმსუბუქე შეემატება მათ ნაბიჯს, მათ თვალებს კი არასოდეს მოაკლდებათ ხალისიანი იერი, თუნდაც უღიმღამო და მქისე გახდეს ის ძნელი ბილიკი, რასაც ჩვენ ცხოვრებას ვეძახით.

სულ ერთი წამით იფიქრა ოქროს ნიამორმა, მერე კი ადგილს მოწყდა. თავის თავსაც კი გადააჭარბა, ისეთი ფართო კამარა შეჰკრა ჰაერში. მალე მიაგნო ტყის პირას განმარტოებულ სახლს. წამიც და უკვე ეზოში აბაკუნებდა მბზინავ ჩლიქებს, მაგრამ ბედი არ გინდა? უკაცრიელს ჰგავდა იქაურობა, არც ბავშვები თამაშობდნენ, არც მოზრდილთაგან ჩანდა ვინმე. მიიხედ-მოიხედა ნიამორმა. მიწაყრილი შენიშნა, რომელზეც კალათებს აპირქვავებდა ორი ბიჭუნა. იქვე ჭას თხრიდა მათი მამა და უკვე ჭის სიღრმეში ჩასული, ბიჭებს მიწას აწოდებდა თოკზე გამობმული კალათით. ცარიელ კალათს ისევ ჭაში უშვებდნენ ბიჭები.

ოქროს ნიამორმა ირგვლივ შემოურბინა მიწაყრილს, მაგრამ ბავშვებმა ვერ შეამჩნიეს იგი, მთელი მათი ყურადღება ჭისკენ იყო მიმართული, მზე კი სულ უფრო დაბლა ეშვებოდა ცისკუდრზე.

ოქროს ნიამორმა ზეცას ახედა, საცაა მზე მიიმალებოდა, დრო იყო მისკენ აეღო გეზი. ისკუპა ოქროს ნიამორმა, მაგრამ შუა ნახტომში შეჩერდა, თვალწინ დაუდგა მოხუცი მწყემსის ცრემლიანი თვალები, ვეღარ შეძლო მზისკენ გაფრენა. კლდის ნაცვლად მიწაყრილზე შეკრა კამარა, ნამიან მიწის გოროხებს დააბჯინა მბზინავი ოქროს ჩლიქები, ბავშვებს სახეში ბრიალა თვალები შეანათა, თითქოს ეკითხებოდა, ახლაც ვეღარ მხედავთო?

- ოქროს ნიამორი! - დაიყვირა ერთმა ბიჭუნამ, გაოცებისგან კალათა ხელიდან გაუვარდა, თვალები ფართოდ დააჭყიტა.

- აბა სად? - იკითხა მეორემ. მოიხედა და ისიც გაოცებისგან გაშეშდა.

ხმისამოუღებლად შეყურებდნენ ბავშები, უჭირდათ დაეჯერებინათ, მაგრამ თვალით ნანახს სად წაუვიდოდნენ, ნამდვილად ოქროს ნიამორი დაბაკუნობდა მათ ეზოში.

- რა დაგემართათ, კალათა რატომ აღარ მომაწოდეთ! - მოისმა ხმა და ჭიდან თავი ამოყო ბიჭუნების მამამ. მანაც გაოცებით წამოიყვირა, მოასწრო დაენახა ოქროს ნიამორი, ოღონდ სულ ცოტა ხნით. ნიამორი მეტს ნამდვილად ვეღარ დაიცდიდა, დაჰკრა ფეხი, მშვილდივით ასხლტა მაღლა, მთის მიღმა გაუჩინარებულ მზეს გამოუდგა. არაჩვეულებრივად ფართო ნახტომებით გაჰკვეთა სივრცე. ელვის უსწრაფესად გაჩნდა სალ კლდესთან, ერთი სიტყვით, ცდა არ დაუკლია, მაინც დააგვიანა. სალი კლდის ფერდებზე აღარსად ჩანდნენ მისი ოქროს მეგობრები, უკვე მოესწროთ და მზის სხივებზე გადაენაცვლათ, ჩამავალი მზისკენ ისწრაფოდნენ თამაშ-თამაშით.

ისკუპა ოქროს ნიამორმა, მაგრამ ვეღარ მიწვდა მზის მანათობელ ბილიკებს, მეტად მაღლა აკრეფილიყვნენ ისინი. ცოტაც და მზის ბადრო სრულიად გაქრა, მას მიყვა ოქროს სხეულებივით დახუნძლული სხივებიც. ოქროს ნიამორი ვეღარ შეუერთდა მათ. დარჩა მიწაზე, ყურებჩამოყრილმა მიიარ-მოიარა სალი კლდის შემოგარენი. ო, როგორ დაცარიელებულიყო აქაურობა! თურმე როგორ ალამაზებდნენ ამ მწვანე მოლს მისი ოქროს მეგობრები.

ოქროს ნიამორმა დაღონებით შეაქცია სალ კლდეს ზურგი, ვეღარ გაუძლო ამ სიცარიელეს. უთავბოლოდ იწყო ხეტიალი. აუჩქარებლად მიბაკუნობდა, აღარსად ეჩქარებოდა, სალ კლდესთან აღარ ელოდა მაცოცხლებელი მზის სხივები. გონებაში სულ ფარშევანგის სიტყვები უტრიალებდა, დილის ნისლივით განიმქრევიო.

- ალბათ მართლაც ასე მოხდება, - ფიქრობდა იგი, - ჩემი ბრა-

ლია, უჭკუოდ მოვიქეცი. თუმცა უნდა ითქვას, ძალიან გავახარე ის ორი ბიჭუნა, ჭას რომ თხრიდნენ.

ნიამორს ფიქრის ძაფი გაუწყდა, რაღაც ხმაური შემოესმა. დროზე მოასწრო ბუჩქის უკან მიმალვა. სევდიან ფიქრებში ჩაფლულს არც კი გაუგია, თუ რა შორს გასცილებია სალ კლდეს, კარგად გატკეპნილ ბილიკზე ამოეყო თავი. მან დაინახა ის ორი ბიჭუნა, მამასთან ერთად გაცხარებით მიიჩქაროდნენ სადღაც. საპირისპირო მხარესაც მოისმა ნაბიჯების ხმა და ჯოხზე დაყრდნობილი მოხუცი მწყემსი გამოჩნდა.

- ჩვენ შენთან მოვდიოდით, პაპავ, - მისცვივდნენ ბავშვები, - გვინდოდა გვეთქვა, ოქროს ნიამორი ვნახეთ.

- მეც მოვკარი თვალი, - დაუმატა მამამ.

- ის ხომ მე გამოვაგზავნე თქვენთან, - თქვა მოხუცმა მწყემსმა, - მინდოდა გამეგო, ნახეთ თუ არა. დავაბინავე ცხვარი და მაშინვე თქვენსკენ გამოვწიე.

ბიჭებს გაოცების შეძახილი აღმოხდათ, ამ საოცარ დღეს ნამდვილი სასწაულები ხდებოდა, მხოლოდ ის იყო, მხედველობიდან არ უნდა გამოჰპარვოდათ.

- მე კი მეგონა, მხოლოდ ზღაპრებში იყო ოქროს ნიამორი, - აღტაცებით ამბობდა ერთი ბიჭუნა.

- მეც ასე მეგონა, - თქვა მეორემ, - ახლა კი ვიცი, მწვანე ტყეში ნამდვილად დაბაკუნობს ოქროს ნიამორი.

- მე სულ ერთი წამით მოვკარი თვალი, - თქვა მამამ, - მაგრამ მაინც ეჭვი არ მეპარება მის არსებობაში, ძალიან ცხადად დავინახე.

- მას მზისკენ ეჩქარებოდა, - თქვა მოხუცმა მწყემსმა, - მეტს ვეღარ დაიცდიდა, ნამდვილად ვიცი ისევ გვესტუმრება. კიდევ უფრო ცხადად ვნახავთ ყველანი.

- ცხადია, კიდევ გვესტუმრება, - ახმაურდნენ ბიჭები, - ო, როგორი ლამაზი იყო, როგორ უბზინავდა ოქროს სხეული...

- რა მემართება? - გაიკვირვა ოქროს ნიამორმა, - რა მინდა ამ სიმაღლეზე?

თავისდაუნებურად ისე მაღლა შეხტა სიხარულისგან, რომ ლამის მწვანე ხეს გადაახტა, როცა ეს ყველაფერი მოისმინა.

მალევე მოისაზრა, მეტი სიფრთხილეა საჭიროო, ხის უკან მიიკუნჭა. გული სიხარულით უძგერდა, მთელი სხეული უთრთოდა. ძალიან ბედრიერი ვარ, რომ ასე გიხარიათ ჩემი ნახვაო, ფიქრობდა იგი, ოღონდ ახლა კი სჯობია დაგემალოთო. არ მინდა ნახოთ, თუ

როგორ ნისლივით გავქრები. მაშინ იფიქრებთ, მართლა ნისლი ყოფილაო და ძველებურად ურწმუნონი გახდებით.

ნიამორი საიმედოდ იყო მიკუნჭული, სანამ ბავშვები და მათი მამა-პაპა არ მიიმალნენ. როცა მათი ხმებიც მიწყდა, მაშინღა გამოვიდა სამალავიდან, გული სიამით უჩქროლავდა, მბზინავ ჩლიქებს ცეკვა-ცეკვით მიაბაკუნებდა.

თანდათან ჩამობნელდა, მზის ოქროსფერი არილი სულ მთლად მიინავლა, ოქროს ნიამორი კინაღამ ისევ შეიპყრო სევდამ, მაგრამ ახლა უკვე იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო: ერთიმეორის მიყოლებით გაიხსენა, თუ რამდენი ვინმე გაახარა ამ დღეს თავისი გამოცხადებით. იხსენებდა მათ გაბრწყინებულ თვალებს და გული თვითონაც სიხარულით უჩქროლავდა.

- ერთს ვნანობ მხოლოდ, - თქვა გულში ოქროს ნიამორმა, - სჯობდა, უფრო მეტ ადამიანს დავენახე. იმდენი დრო არ უნდა დამეხარჯა მწვანე მოლზე ცეკვისათვის, სასიხარულო ამბებსაც უფრო მეტს გავიხსენებდი, სანამ ჩემი სხეული ნისლივით განიმქვრევა.

აქ ნიამორმა გაფაციცებით დახედა საკუთარ სხეულს, სიმივით დაჭიმულ კანჭებს, მბზინავ ჩლიქებს, ნაქანდაკარ ზურგს, ჯერჯერობით მათ არაფერი ეტყობათ საიმისო, ოდნავადაც არ შეცვლილან.

ასე დაათენდა თავზე ხის უკან მიკუნჭულს. ღამის ბინდი გაიცრიცა, ცას ნათელი მოეძალა. ოქროს ნიამორი, თავისდა გასაკვირად, კვლავ აბაკუნდა მწვანე მდელოზე. ყელი მოიღერა, საგულდაგულოდ დაათვალიერა საკუთარი სხეული, ჯერჯერობით ყველაფერი რიგზე იყო, მის ოქროს კიდურებს არაფერი ეტყობოდა გაქრობა-დამცრობისა.

მალე მზეც ამოვიდა, თვალებბრიალა, მომღიმარი. ოქროს ნიამორი მაშინვე მიესალმა მზეს. ის მუდამ ძალზე თავაზიანი იყო, რაც თვით გაქრობის შიშმაც კი ვერ დაავიწყა. მერე ცოტა იფიქრა და დაუმატა, მეგონა ერთმანეთს ველარ ვნახავდითო.

- მერედა, რატომ გეგონა, ასე? - ჰკითხა მზემ ღიმილით და როგორც ოქროს ნიამორს მოეჩვენა, ეშმაკურად ჩაუკრა თვალი.

- მე ხომ ღამით მიწაზე დავრჩი, ველარ მივუსწარი სხივების ბილიკს. მთელი ღამე დამცრობა-გაქრობას ველოდი.

- რა გულუბრყვილო ხარ, - ამოიოხრა მზემ, - შენ ხომ სხვისი სიხარული გიხაროდა...

- მერედა რაო? - გაოცებით იკითხა ოქროს ნიამორმა, მართლაც ვერაფერი გაეგო.

- როდესაც სხვისი სიხარული გიხარია, მაშინ ჩემი სხივი ანთია შენში, - უპასუხა მზემ და ალერსიანად მოეფერა მბზინავ კისერზე.

- აი, თურმე რაში ყოფილა საქმე, - ჩაილაპარაკა ოქროს ნიამორმა და კვლავ ყურადღებით შეათვალიერა საკუთარი სხეული, რომელსაც სულაც არაფერი ეტყობოდა დამცრობა-გაქრობისა, პირიქით, კიდევ უფრო გალაღებულიყო. მზე კი ისევ უღიმოდა და ალერსიანად უხსნიდა, რომ ოქროს ნიამორს აღარ უნდა ეშინოდეს, ვაითუ მზის ბილიკს ვეღარ მოვუსწროო. მუდამ მასთან მყოფი მზის სხივი სიცოცხლის დაუშრეტელი წყაროა მისთვის. შეუძლია დარჩეს დედამიწაზე, რამდენ ხანსაც მოისურვებს, მერე ისევ დაბრუნდეს მზის წიაღში. მისთვის ღიაა ცისა და მიწის ყველა ბილიკი...

უსმენდა მზეს ოქროს ნიამორი და თვითონაც ვერ გაიგო, ისე აცეკვდა მწვანე მოლზე, მერე მზის სხივის ბილიკზეც გაინავარდა. თითქოს უნდოდა, მზის სიტყვებში ბოლომდე დარწმუნებულიყო. ცხადია, ეჭვი ოდნავადაც არ შეპარვია, უბრალოდ, სიხარულს მისცა გასაქანი. მერე ისევ მწვანიანზე დაეშვა. დახტოდა, ლაღობდა, ჰაეროვან კამარას ჰკრავდა. ახლა მას უკვე საკუთარი სიხარული უხაროდა და ალბათ, ჰქონდა კიდეც ამის უფლება.

ცოცხალი ცეცხლი

ტყის პირას შეფენილი აკაციები გაეჩეხათ... ასეთი უცნაური ფორმის, ამ ზომამდე მიგრეხილ-მოგრეხილი და ღვლარჭნილი კუნძები ჯერ არ მენახა. ზღაპრულ ჯუჯებს ჰგავდნენ, ძველებური თქმულებებიდან გამოპარულებს. საერთოდ, შემიმჩნევია, მეტად ღვლარჭნილი ფორმის მიღება იციან აკაციის გადაჭრის შედეგად დარჩენილმა კუნძებმა. განსაკუთრებით მაშინ, როცა რამდენჯერმე გადაბელავენ ერთსა და იმავე ხეს, ერთად გადაასხეპავენ ძველსა თუ ახალ ამონაყარს. ტოტების ადგილას გაჩენილი კორძებით მოფენილი კუნძი დაღუდუდებულ, ცოცხალ სხეულს გაგახსენებს. უჩვეულო ფორმის, მაგრამ თავისებურად მაინც ლამაზ სხეულს.

ასე რომ, მაინც საამო სანახაობას წარმოადგენდა აკაციის კუნძების თუ ზღაპრული ჯუჯების ეს თავყრილობა. ყველა მათგანი ცოცხალი იყო, წვენით პირთამდე სავსე, ფესვებით მიწაში ღონივრად ჩაზრდილი, ახალი ამონაყარისთვის გამზადებული. მწვანე ხავსის ფენა ხავერდოვანი მოსასხამივით აჰკვროდათ გვერდზე. ზომით სხვადასხვანი იყვნენ, ზოგი ფართოსშტამბიანი, ზოგიც შედარებით მომცრო.

ერთი გამოირჩეოდა მათში, ტოტი მომაღლოდ შერჩენოდა, უსწორმასწოროდ გადაბელილს. ვაჟკაცის მკლავს მოგაგონებდა, თითქოს ხელს გიწვდისო. ამ შთაბეჭდილებას ისიც აძლიერებდა, რომ ტოტი ბოლოში გადატეხილი იყო, და ის გადმონატეხიც ადამიანის ხელის მტევანივით შერჩენოდა ზედ.

ფორმაც ხომ, სხვა კუნძზე თუ მეტად არა, ნაკლებად არ ჰქონია დაღვლარჭნილ-დაგრეხილი. კორძებს შუა, ჩაღრმავებულ

გულბოყვში, წვიმის წყალს ჩაიგუბებდა ხოლმე. ცვარმაც იცოდა იქ ჩაგროვება. ადრიან დილით შემიმჩნევია, ლამის ერთ პეშვამდე მოიყრიდა თავს წვიმის წვეთები.

განსაკუთრებით ახალშეღამებულზე გაგაოცებდათ ამ კუნძების უცნაური ფორმა. ბინდბუნდის ნაზი, მკრთალი შუქი ჯადოსნურ ხიბლს მატებდა აქაურობის ისედაც იდუმალ, ზღაპრულ იერს. უფრო მჭიდრო ძაფებს აბამდა მიწის წიაღს გამორიდებულ, უცნაურ ჯუჯათა შორის. იფიქრებდი, სადაცაა მხარმკლავებს ერთმანეთს გადახვევენ და ფერხულს ჩააბამენ მეჩხერი ბალახით შემოსილ ფერდობზეო.

სწორედ ახლადშეღამებულზე წავადექი ერთხელ თავზე ზემოხსენებულ ზღაპრულ ჯუჯებს, ანუ აკაციის ღვლარჭნილ კუნძებს. მოძალებული ბინდბუნდი კიდევ უფრო გაურკვეველს ხდიდა კუნძების, უცნაურად ღვლარჭნილ მოყვანილობას. ისინი ცოცხლობდნენ თავიანთი დაფარული, იდუმალი სიცოცხლით. დინჯად, აუღელვებლად ეხვეოდნენ მოახლოებული ღამის გაუმჭვირვალე საბურველში. ისე გარინდებულიყვნენ, თითქოს რაღაცას ელიანო. ეს მომლოდინე გარინდება სხვა დროსაც შემიმჩნევია მათთვის, მაგრამ ამ საღამოს რაღაც განსაკუთრებით მეცა თვალში. ასე მეგონა, საცაა შემეხმიანებიან-მეთქი.

მკვლავშემართულ კუნძსაც ჩავუარე... სწორედ მის გვერდით გადიოდა ჩემი სავალი გზა. ჩავუარე და მეც გავუწოდე ხელი, ცხადია, არა ხელის ჩამოსართმევად, რატომღაც ძალიან მომეგუნება, შევხებოდი მის ხელის მტევანს, ანუ ზედ შერჩენილ პატარა ყლორტს.

იქნებ უცნაურობად მოჩვენებოდა ვინმეს ჩემი ასეთი საქციელი. აბა, რომელი ჭკუათამყოფელი გაუწვდის ხელს ჩამოსართმევად უსულო, უმეტყველო მცენარეს. თუმცა მეორე მხრიდან თუ შევხედავთ, ამაში არაფერია საძრახისი და მით უმეტეს, შეუძლებელი. თუ შეგიმჩნევიათ, როგორი გულითადობით გიწვდიან ხოლმე მკლავს მცენარეები, თითქოს ძველი მეგობარი გესალმებაო. აბა, როგორ არ შეაგებებ მარჯვენას... მით უმეტეს, თუ ამ მეგობრის მწვანედ შემოსილ მკლავს ულამაზესი ნაყოფი ამშვენებს, ვთქვათ, ლოყაწითელი ვაშლი. მის მოსაწყვეტად ხელის გაწვდენა ამავე დროს ძველი მეგობრისადმი ხელის ჩამორთმევაცაა. ყოველ შემთხვევაში, მე მუდამ ასე მეჩვენება: დიახ, ხელს გაუწვდი და მადლობასაც მოახსენებ იმ ძველ მეგობარს, როცა მისი ნაყოფით პირსაც ჩაიგემრიელებ.

ამ ძველი ჩვეულების შედეგი იყო ალბათ, როცა მე იმ კუნძსაც

გავუწოდე ხელი. მიუხედავად იმისა, რომ არც მწვანედ გაფოთლილი ყოფილა იგი და არც რაიმე ნობათს მიწვდიდა ყელის ჩასაკოკლოზინებლად. გავუწოდე და მის უღონო მტევანს ხელით შევეხე.

გრილი იყო კუნძის ხელის მტევანი, უნდა ითქვას, ზედმეტად გრილიც. მომეჩვენა, თითქოს მკვდარს ჩამოვართვი ხელი. მისი შეხებისთანავე ცივმა ჟრჟოლამ ჩამირბინა ხერხემალში და სადღაც ფეხის ქუსლებში ჩაიკარგა.

დამაეჭვა ამ ცივმა ჟრჟოლამ, ალბათ გავცივდი-მეთქი, ვიფიქრე და ზურგი ვაქციე იმ კუნძს, რათა იქაურობას გავცლოდი. ნამდვილად არ ღირდა და არც მინდოდა ერთ მაგარ გაციებად დამჯდომოდა აქაურობის იდუმალი სილამაზით თვალის დატკბობა.

მაგრამ ვიღაცის ამოხვნეშამ და დახშული ხმით წარმოთქმულმა უცნაურმა სიტყვებმა შემაჩერეს:

- უუჰ, დავიღალეთ შენი ლოდინით!

მაშინვე მივტრიალდი, ირგვლივაც დაკვირვებით მივიხედ-მოვიხედე, არანაირი არსება არ იდგა ჩემს წინ, იმ მკლავშემართული კუნძის გარდა.

ისევ იმ კუნძს მივაპყარი თვალი, უფრო მეტი ყურადღებით შევხედე და ორი თვალი დავუნახე, ფოსფორული შუქით მოციაგე. ერთერთ კორძს ასხდნენ ეს თვალები და მე შემომცქეროდნენ.

ვერ ვიტყვი, დიდად მასიამოვნა-მეთქი ამ უჩვეულო თვალთამზერამ, ორიოდე ნაბიჯით დავიხიე უკან და მერეღა მივბრუნდი წამოსასვლელად, მაგრამ ისევ შემაჩერა იმავე დახშული ხმით წარმოთქმულმა სიტყვებმა:

- კიდევ ცოტაც, განა ბევრი დარჩა...

ვეღარ მოვერიე თავს, რომ ისევ არ მივტრიალებულიყავი მისკენ. ძალიან დამაინტერესა, რაზე უბნობდა ეს საოცრება.

- რა დარჩა ცოტა? - ვკითხე ცნობისმოყვარეობით ატანილმა.

- ცოცხალი სითბო, - მივიღე პასუხად.

- ეს რაღაა?

- შენი სხეულის სითბო.

- მერედა, რაში გჭირდება ჩემი სხეულის სითბო, - აღარ დავამადლე პასუხი - რომელი ცეცხლისმფრქვეველი მნათობი მე ვარ. თუ შეგამცივნა, ახლავე ცეცხლს დავანთებ. იქნებ დაგცხეს კიდეც, ისე კარგად გათბები.

- არა! - რაღაც მეტად სევდიანად დაიჟღერა იმ საოცრების ხმამ, - რასაც შენ ამბობ, ის მკვდარი ცეცხლია. მე ცოცხალი ცე-

ცხლი მჭირდება. მკვდარი ცეცხლი ვერც მე გამათბობს, ვერც სხვებს... ხილული სიცოცხლის მინიჭების უნარიც არა აქვს.

- მერედა ვინ არიან ისინი, - ვკითხე დაინტერესებულმა, - ვისთვის ზრუნავ ასე თავგამოდებით, ვის გინდა მიანიჭო ხილული სიცოცხლე.

- მომეცი შენი სხეულის სითბო და ყველაფერს საკუთარი თვალით იხილავ.

ყოყმანით შევხედე ფოსფორისფერთვალებიან კუნძს, როგორც ჩანს, ჯუჯა სახლობს მასში... მერე უკვე კარგად ჩამუქებულ ცას ავხედე. სავსე მთვარე დავინახე, უზარმაზარი, გაოცებული თვალივით მომზირალი. ვარსკვლავები ჯერ ისევ გაუბედავად ამჟღავნებდნენ საკუთარ არსებობას.

სავსემთვარეობა! აკი სწორედ ასეთ ღამეებში ხდება ხოლმე ნაირნაირი სასწაულები! თანაც არა ყოველთვის... ეს ღამე, ეტყობა, რაღაცით გამორჩეულია. თუ ახლა უკან დავიხევ და რაიმე კეთილგონივრული მოსაზრებით უარს ვიტყვი ამ საოცრებათა ხილვაზე, რასაც ეს ჯუჯა მპირდება, მთელი სიცოცხლე ვეღარ ვაპატიებ საკუთარ თავს. ვინ იცის, კიდევ როდის მომეცემა ასეთი შემთხვევა.

არა, უარის თქმა ნამდვილად არ ღირს, ოღონდ კი რაიმე გამოვიდოდეს.

- ჩემი სხეულის სითბო, - ვთქვი საგონებელში ჩავარდნილმა - მერედა, როგორ უნდა გადმოგცე იგი...

- ეს არაა ძნელი, - ბევრად უფრო მხნედ მითხრა მან, - შენ ოღონდ გულით გამოიმეტე შენი სხეულის სითბო... ისევე უანგაროდ, დაუფიქრებლად და დაუზარელად, როგორც ხელი გამოიწოდე ჩემსკენ.

- იყოს ნება შენი! - ვთქვი სულწასულად, ძალიან მაინტერესებდა, თუ რა იყო ეს ცოცხალი ცეცხლი.

ამის თქმა ძლივს მოვასწარი, რომ წინანდელზე ბევრად უფრო ძლიერი სიცივე ვიგრძენი მთელი ხერხემლის გასწვრივ, თითქოს ყინულივით ცივი წყალი ჩამიღვარეს კისერშიო. და მაშინვე სისხლივით წითელი ცეცხლის ალები აბურბურდნენ პირდაპირ მწვანედ მოღაღანე მოლზე.

ამ ჟრჟოლამ ის პირველი შემცივნებაც გამახსენა, როცა ხელი ჩამოვართვი ფოსფორისთვალებიან ჯუჯას და კითხვის თვალით გადავხედე ამ უკანასკნელს. რაღაცას მეც მივხვდი, მაგრამ მისგანაც მოველოდი განმარტებას.

იმანაც არ დაახანა.

- სწორედ ასეა, როგორც შენ ფიქრობ, - მითხრა ერთიანად გაბრწყინებულმა და თვალებიდან ფოსფორული ელვარება მომაფრქვია, - როგორც კი ხელი შემახე, მე სითბო წარვიტაცე შენგან და ხილული სიცოცხლეც სწორედ მისი წყალობით მოვიპოვე. თორემ აბა, როდის იყო, კუნძები ლაპარაკობდნენ ადამიანთა გასაგები ენით. განა არ გაგიკვირდა, ჩემი ხმა რომ გაიგონე?

- მართალი ხარ-მეთქი, - ვუთხარი და წითლად აბურბურებულ კოცონს გავუშტერე თვალი. რა მშვენიერი რამ იყო! ასეთი ცოცხალი, თბილი და ნათელი ფერები ჯერ არასოდეს მენახა. მეწამული ათინათით უხვად შეზავებული ელვარე ცეცხლის ენები თითქოს რაღაც იდუმალ ცეკვას ასრულებდნენ ხავერდოვან მოლზე, ირგვლივაც მეტად მიმზიდველ, თბილ და მოალერსე ათინათს ჰფენდნენ. ძალიან მასიამოვნა ამ ლამაზმა სანახაობამ, მისი გულისთვის ნამდვილად ღირდა ამ პატარა საზღაურის, საკუთარი სხეულის სითბოს მსხვერპლად გაღება.

თანაც თვალს სრულებითაც არ ჭრიდა ეს ულამაზესი, ალისფერი კოცონი. შეგეძლო დაუსრულებლად გეცქირა მისთვის, თვალთმზერას რაღაც განსაკუთრებით ესალბუნებოდა მისი ცოცხალი, თბილი ელფერი, მეწამულით ასე მდიდარი.

მერე რაღაც უცნაური, მქრქალი ლანდები შევნიშნე, აბლაბუდასავით მკრთალი მოხაზულობით, წითლად აბრიალებული კოცონის ირგვლივ იწყეს მოჯარვა.

- ეს რაღაა? - ვიკითხე დაეჭვებულმა.

- მწვანე ტყის სულები თბებიან ცოცხალი ცეცხლით, - ამიხსნა ჩემმა არაჩვეულებრივმა მოსაუბრემ, - საშიშნი არ არიან, ოღონდ თუ მათი ხილვა გინდა, მათთვის ცალკე უნდა გამოიმეტო შენი სხეულის სითბო, ისევე, როგორც ჩემთვის გამოიმეტე იგი. ხილული სიცოცხლე სათითაოდ უნდა მიანიჭო ყველა მათგანს.

- ყველასთვის ალბათ არ მეყოფა სითბო, ნამდვილ ყინულის ლოდად ვიქცევი (თურმე რა საბედისწერო სიტყვები მითქვამს), მხოლოდ ორიოდე მათგანს თუ დავასაჩუქრებ ხილული სიცოცხლით, მათი დანახვაც მეყოფა.

ვთქვი და ხელი გავუწოდე ერთერთ მქრქალ ლანდს, რომელიც ყველაზე ახლოს იყო ჩემთან და აბლაბუდას ძაფივით ირხეოდა. მაშინვე ვიგრძენი ყინულივით ცივი თითების შეხება, უკვე კარგად ნაცნობმა ჟრჟოლამ ჩამირბინა ხერხემალში, და მე ნამდვილი სასწაულის მხილველი გავხდი: იქვე ჩემს თვალწინ, წითლად აბრია-

ლებული კოცონის გვერდით, პირდაპირ ჰაერში იწყო გამოსახვა რაღაც უჩვეულო არსებამ. იგი ნელნელა ამოცურდა იმ სიმქრქალიდან, რაც მის ადრინდელ სახებას შეადგენდა. ასე მომეჩვენა, თითქოს თვით ცოცხალი ცეცხლის ალისფერმა ათინათმა გამოძერწა იგი სრულიად არაფრისგან, უსხეულო აქცია სხეულად.

და ეს ყველაფერი საკმაოდ სწრაფად მოხდა, სამამდე დათვლას თუ მოასწრებდი. არაფრისგან შობილ არსებას ხელი ჯერაც ჩემსკენ ჰქონდა გამოწვდილი, როცა ცოცხალი, ნათელი ფერები მთელი სისრულით და ძალით აელვარდნენ მის სახესა და სხეულზე.

გაოცებული მივშტერებოდი, ხმაც ვერ დამეძრა. რა მწყაზარი, რა ნაზი არსება იდგა ჩემს წინაშე. აბრეშუმივით რბილი, მკრთალი ფერის დალალები ლამის კოჭებამდე ჩამოეშალა. სწორედ ამ დალალებმა მიმახვედრეს, რომ ძეწნის სულს შევყურებდი.

თითქოს ღრმა ძილისგან გამოფხიზლდაო, ისე შეირხა არაფრისგან შობილი არსება. თავი აიქნია, ხშირი დალალები უკან გადაიყარა და კოცონისკენ მიტრიალდა, მანამდე კი ერთი გამიღიმა ალერსიანი, მადლიერი ღიმილით, თვალების სარკისებური ელვარება შემომაფრქვია. ვერც მე შევიკავე თავი ღიმილისგან. ძეწნა განსაკუთრებით მიყვარს, განსაკუთრებით ესალბუნება თვალსა და სულს მისი ნაზი, სევდიანი იერი, ძალიან კმაყოფილი დავრჩი, რომ სწორედ ძეწნის სულს მივანიჭე ხილული სიცოცხლე.

- ეს ძეწნის სულია, - აღარ დაახანა ფოსფორისთვალებიანმა ჯუჯამაც, - იგი მადლიერია შენი, სიცოცხლე რომ მიანიჭე... და სხვებიც მადლიერები იქნებიან, - დაუმატა მრავალმნიშვნელოვნად.

სხვებიც? შეიძლება, მაგრამ ყველასთვის ვერ გავიმეტებ ცოცხალ სითბოს. აგერ, ის რაღაც მეტად მოქნილი მეჩვენება, ალბათ ისიც ლამაზია...

ის მქრქალი ლანდი, რომელსაც თვალი დავადგი, ჩემგან კარგა მოშორებით იყო, კოცონის მეორე მხარეს დავლანდე. მაგრამ როგორც კი გულში გავივლე, რომ არც მისთვის დავინანებდი ჩემი სხეულის სითბოს, წამიერად ჩემს წინ აღმოჩნდა. ისე გამოვიდა, თითქოს თვალი მატყუებდა, როდესაც ცოტათი მოშორებით აღვიქვი იგი. როგორც კი აღსრულდა სითბოს გადაცემის იდუმალი რიტუალი, მაშინვე ამაყად ყელაღერილი არსება აღიმართა ჩემს წინაშე. არაჩვეულებრივად მოქნილი წელი ნიავისგან წარტაცებულივით ერხეოდა.

- ეს კიდევ ალვაა, - ჩამესმა ნაცნობი ხმა, თუმცა მე ისედაც მივხვდი, რომ სწორედ ალვის ხეს ჩავუდგი სული. უფრო სწორად, მის

სულს ვაჩუქე ხილული სიცოცლე.

- ძალზე ლამაზები არიან მწვანე მცენარეები, მათი სულებიც, ცხადია, ძალიან ლამაზები იქნებიან, - ვთქვი ამ ორი არსების სილამაზით მოხიბლულმა - არ მენანება მათთვის ის სიცოცხლისმიერი სითბო, რაც კი ჩემს სულსა და გულს შეუძლია გასცეს.

ისეთი სიცივე ვიგრძენი ამის თქმისთანავე, თითქოს ყინულოვან წყალში ჩავყურყუმალავდიო. უამრავმა მქრქალმა ლანდმა ერთად გამოიწოდა ჩემკენ ყინულივით ცივი, უხილავი ხელები. ეტყობა, ერთად მოჯარდნენ ყველანი ჩემს ირგვლივ და ლამის მთელი სითბო ერთბაშად წარმტაცეს, რაც კი გამაჩნდა. ერთი-მეორის მიყოლებით ამოდიოდნენ სიმქრქალის წიაღიდან, ცოცხალ ცეცხლის მეწამული ათინათი სათითაოდ ძერწავდა ყოველ მათგანს. ყველანი მაშინვე უკლებლად მაჯილდოებდნენ მადლიერი, ნათელი ღიმილით, მერე კი კოცონისკენ მიბრუნდებოდნენ ხოლმე.

სულ მალე კოცონს ირგვლივ შემოეჯარნენ ნაირგვარ მცენარეთა სულები, მანამდე უხილავნი, ახლა კი ხილულნი. და რა იყო ეს ხილვა... ენით გამოუთქმელი სილამაზე უცხო ყვავილივით გაიფურჩქნა ჩემს თვალწინ. ჭეშმარიტად აღუწერელი იყო იგი, გარეგნული სიმწყობრე და ელფერი. აბა, სცადეთ და აღწერეთ თუნდაც ყველაზე უჩინო ყვავილი, მინდვრის ბალახებში მიმალული. განა შეიძლება სიტყვამ გადმოსცეს ის ფერადოვნება და სილამაზე, რაც მის პაწია ფურცლებშია ჩაქსოვილი. ფერების მთელი ოკეანეა ჩაღვრილი ყველა მათგანში, თუნდაც ყველაზე პაწაწინაში. ახლა ის სათუთი გამჭვირვალება და სინაზე თქვი, რაც ასე ამშვენებს გამოუკლებლად ყველა ყვავილს. სილბო და ხავერდოვნებაც ნუ დაგავიწყდებათ. არ ვიცი, სიტყვათა და სიმრავლე შეძლებს ამის ყველაფერ აღწერას, მე მიჭირს ამის წარმოდგენა.

ჰოდა, რაღა ითქმის იმ იდუმალ არსებებზე, რომლებმაც თან წარიტანეს მცენარეთა უნაპირო სილამაზის ყველა ნიშატი უკლებლად. ამას გარდა, ყველა მათგანს თან ახლდა გრძეულებით სავსე იდუმალი სამყაროს მომაჯადოებელი იერი და ხიბლი. და ეს ორგვარი სილამაზე, ერთი მზისმიერი სიცხადის პირმშო, ხოლო მეორე ღამეული გრძნეულებით შობილი, სრული თანხმიერებით შერწყმულიყო მათში და მართლაც თვალის დამატყვევებელ სანახაობას ქმნიდა. როგორც კი ვიხილავდი რომელიმე მათგანს, ცხადადქმნილს ჩემი გულის და სხეულის სითბოთი, არაფრით არ შემეძლო, უარი მეთქვა მეორესთვის, რომელიც მაშინვე აისვეტებოდა მის გვერდით

და ჩემსკენ იწვდიდა უხილავ ხელებს. თავით ფეხებამდე მაჟრჟოლებდა ამ ყინულოვანი შეხების შედეგად, მკერდი კრუნჩხვასავით შემეკუმშა, ამოსუნთქვაც კი გამიძნელდა ბოლოს.

ძლივს, როდის-როდის ამოვითქვი სული, მეგონა ცოცხლებშიც აღარ ვეწერე, თუმცა ჩემი მხედველობა მომართულ მანქანასავით უნაკლოდ მოქმედებდა, ნთქავდა და იბეჭდავდა ამ უნაპირო სილამაზის ზღვას, რომლის ტალღებიც ყოველი მხრიდან მეხლებოდნენ.

სული ჯერაც ვერ მომეთქვა წესიერად, გონს ვერ მოვსულიყავი, ვერ განმესაზღვრა, ცოცხლებში ვიყავი თუ მკვდრებში, როცა ისევ ჩამესმა ფოსფორისთვალებიანი ჯუჯას დახშული, თან შემპარავი ხმა: - ტყის მეუფე დგას შენს გვერდით. ნეტავი განახა, რა საოცარი რამაა.

ეს რომ გავიგონე, თვალები დიდი მონდომებით დავაცეცე; ვინ მოსთვლის, რამდენჯერ მინატრია მისთვის თვალი მომეკრა. ეს სულაც არ გახლავთ ადვილი საქმე, ასეთი შემთხვევის ხელიდან გაშვება არ შეიძლება.

თვით აბლაბუდას მინაგვარი მოხაზულობაც ვერ შევნიშნე, არაფერი არ ამჟღავნებდა ტყის მეუფის არსებობას. მეტი რაღა დამრჩენოდა, ალალბედზე მე თვითონ გავიწოდე მისკენ ხელი, ისე მაინტერესებდა მისი ნახვა.

თითქოს ყინულის ლოდს შევახე ხელი, ისე დამწვა რაღაც უსაშველო სიცივემ, და მაშინვე ყოვლად უცნაური არსება აღიმართა ჩემს წინაშე; მოსული ტანის, თხის სახიანი, ერთიანად ბეწვით შემოსილი, მხეცის მინაგვარი არსება, მაგრამ ამ თხისსახიან მხეცს უაღრესად მეტყველი იერი ჰქონდა. თვალები ისე უელვარებდა, ცის ელვა გამახსენა. მხრებზე მწვანე ფოთლებისგან მოქსოვილი მოსასხამი წამოესხა, გრძელკლანჭებიან, გაბანჯგვლულ ხელზე აყვავებული რტო ეფინა. ძალზე გულღიად შემომცინა ტყის მეუფემ და თვალებიც ელვასავით დააკვესა, სანამ კოცონისკენ იზამდა პირს. ღვინისფრად უღაჟღაჟებდა სახე...

- სხვებიც აქ არიან, ტყის ალი, ღამის დედოფალი, განთიადის ასული, მდინარის და ნაკადულის სულები, ჯუჯები, მაცილები, ჭინკები... - ისევ ჩამესმა ნაცნობი ხმა ყურისძირში.

ხმის ამოღების თავი აღარ მქონდა, საკუთარი ხელებიც კი ვეღარ ავზიდე, რათა მათთვის გამეწვდინა, მხოლოდ ქუთუთოები დავახამხამე იმის ნიშნად რომ მზად ვიყავი, გამეცა მთლიანად ჩემი გულის და სხეულის სითბო, ოღონდ კი თვალით მეხილა ყველა მათგანი.

და მაშინვე გაისმა ისეთი მაღალი, მჭექარე ხმა, რასაც არაფრით არ ველოდი იმ კუნძისგან:

- ჰეი, სადა ხართ, მოჯარდით ყველანი, ტყისა და მიწის სულებო! იჩქარეთ, მიიღეთ ცოცხალი სითბო, ხილული სიცოცხლის წყაროს დაეწაფეთ!

ამის თქმა იყო და ნაირგვარ უცნაურ არსებათა ნამდვილი ფერხული დატრიალდა ჩემს ირგვლივ. მე უკვე ვეღარ ვგრძნობდი მათი ყინულოვანი თითების შეხებას, კანი დამდუღრულივით მეწვოდა სიცივისგან, გულით და ხერხემლით ვგრძნობდი, რომ სითბო უწყეტ ნაკადად მიედინებოდა ჩემგან. მგონი მთელი მზისმიღმიერი გრძნეული სამყარო დაიძრა იმ ღამით, რათა ცოცხალი სითბო წარეტაცათ ჩემგან. მომეახლებოდნენ უხილავნი, განმეშორებოდნენ ხილულნი, და მათი ხილვა იმდენად საამური იყო ჩემთვის, რომ მთლიანად ანაზღაურებდნენ ჩემგან წარტაბულ სითბოს და სიცოცხლეს. ისინიც ძალზე გულღიად, მადლიერებით სავსე ღიმილით მასაჩუქრებდნენ. კოცონის ირგვლივაც ისე დგებოდნენ, რათა რაც შეიძლება კარგად დამენახა ყველა მათგანი.

ძალიან კი გავერთე მათი ცქერით, თვალს სიამოვნებდა ეს ჭრელი სანახაობა. ზოგიერთი მათგანი ძალზე თავშესაქცევი რამ იყო. ყველანი ერთხმად ახარხარდნენ, როცა ერთი უცნაური არსება აბაჯბაჯდა კოცონის ირგვლივ. თურმე იქვე დაგდებული სიპი ქვიდან გამომტყვრალიყო და თვითონაც იმ სიპ ქვასავით იყო ჩამრგვალებული. მთვარესავით გაბადრული სახე ჩემსკენ მოეპყრო, ლოყები წითელ ვაშლებს მიუგავდა. სხვებიც ბევრნი იყვნენ ასეთი სასეირო გარეგნობის მქონენი. ერთს, ცოტაღა აკლდა, ლამის სპილოს ხორთუმივით ჩამოგრძელებოდა ცხვირი, მეორეს ტახივით ფართო ყურები ეფართხუნებოდა მხრებზე. მესამეს ერთიანად კაკლისტოლა მეჭეჭებივით მოჰფენოდა სახე... და კიდევ მრავლი, მათი გარეგნობის უცნაურობებს ადამიანი ვერ ჩამოთვლის. მაგრამ შესახედავად მშვენიერნი და მიმზიდველნი იყვნენ მაინც. როგორც არ უნდა დარღვეულიყო მათი აღნაგობის თანწყობა, მაინც თვალს ატყვევებდნენ თავიანთი განუმეორებლობით და რაღაც არაჩვეულებრივად ცოცხალი გამომეტყველებით.

მათ სისხარტეს და მოქნილობას ხომ საზღვარი აღარ ჰქონდა. რა სიმსუბუქით და სიმარჯვით მიმოჰქროდნენ კოცონის ირგვლივ, როგორ ხარობდნენ და ლაღობდნენ. თვით ყველაზე ჩაგოდრებული ქმნილებანიც კი, სიპი ქვიდან თუ კუნძებიდან შობილნი, რეზინის

ბურთებივით ხტებოდნენ მაღლა, თან ყირაზე გადადიოდნენ. ტყის ალები და მცენარეთა ნაზი, ნარნარი სულები ნიავის ჰაეროვნებით უწვდიდნენ ერთმანეთს ხელებს, ირგვლივ უვლიდნენ წითლად აბურბურებულ კოცონს, ხანდახან ზევითაც აიწევდნენ, ცეცხლის წითელ ენებს ფრინველებივით გადაევლებოდნენ ხოლმე თავზე.

ყველა ამ უცნაურ არსებათ, მზისმიღმიერი გრძნეული სამყაროსგან შობილთ, არაჩვეულებრივად ცოცხალი, ჯანსაღი ელფერი ჰქონდა, ცოცხალი ცეცხლის წითელი ანაბზენი ერთნიარად ეფინებოდა ყველა მათგანს, კიდევ უფრო ღაჟღაჟას და ფეროვანს აჩენდა. იმის თქმა კი არ მინდა, თითქოს სხვა ფერი აღარ ჭაჭანებდა მეწამულის გარდა. ფერების ნამდვილი ზღვა ლივლივებდა კოცონის ირგვლივ, მაგრამ იმ ზღვაში აშკარად ჭარბობდა მეწამული ცოცხალი ელფერი.

დასასრულიც რომ აღარ უჩანდა ამ საოცრებათა მარაქას... მოდიოდნენ და მოდიოდნენ. ვერცერთხელ ვერ შევძელი, წინაღვდგომოდი მათი ცხადად ხილვის ცდუნებას, ვინ იცის, კიდევ როდის მომეცემოდა ასეთი შემთხვევა. მთელი სხეული ერთიანად გამხევებოდა, ლამის ყინულის ლოდად ვიქეცი, თუმცა მხედველობა მაინც არ დაშრეტილა, ცოცხლობდა იმ დიდი ცნობიმოყვარეობის წყალობით, რომელიც არასდროს მაძლევდა მოსვენებას. საკუთარი თვალით მეხილა მზისმიღმიერი ჯადოსნური სამყარო, მწვანე ტყის იდუმალი სულები. შევყურებდი მათ და გულში იმედს ვინახავდი, რომ ბოლოს და ბოლოს დასრულდებოდა ღამეული სულების ფერხული, მეც შემრჩებოდა ცოცხალი სითბოს რაღაც ნიშანწყავლი. მერე მზე გამილხობდა სიცივისაგან გახევებულ სხეულს, ისევ ცოცხლებში ვიქნებოდი და მოსაგონებლად შემრჩებოდა ამ უჩვეულო გრძნეული ღამის საოცრებანი.

თურმე რა ამაოდ მქონდა ამის იმედი.

ჯერ კიდევ არ ვქცეულიყავი მთლიანად ყინულის ლოდად, როცა მაცდურად წამჩურჩულა ჩემმა ბოროტმა სულმა, ფოსფორისთვალებიანმა ჯუჯამ, თვით ცეცხლის სული გვეწვიაო ამ ღამით, ცეცხლის სული კი იშვიათად თუ ესტუმრება თუნდაც ყველაზე უმშვენიერეს ჯადოსნურ დღესასწაულს.

- იყოს ნება შენი! წაიღე, თუ რაიმე შემრჩა, სიცოცხლის სულ უკანასკნელი ნაპერწკალი, სითბოს სულ უკანასკნელი ნამცეცი, - ვთქვი უხმოდ, გულისგულში. ლაპარაკის თავი სადღა მქონდა, ქუთუთოებიც კი ვეღარ დავხარე თანხმობის ნიშნად.

იმწამსვე ცეცხლისფერი არსება გაჩნდა ჩემს წინ. ძალზე ძნელი

გასარჩევი იყო, თუ რა მოხაზულობა ჰქონდა, ყოველ წამს იცვლიდა ფორმას, მაგრამ იშვიათი სილაღის და მოქნილობის სრული განსახიერება იყო. დახტოდა, დაჰქროდა, ელვის სისწრაფი მოექცეოდა კოცონის ერთი მხრიდან მეორეზე. თამაშობდა, ლაღობდა, თან ისე ელვარებდა, ლამის თვით კოცონი დაჯაბნა. რაღაც არაჩვეულებრივად გააცოცხლა და დაამშვენა იქაურობა მისმა ბრწყინვალე, ალისფრად მოგიზგიზე სხეულმა, ცეცხლოვანმა მკლავებმა, რომელთაც ზეცისკენ ხშირხშირად შეისროდა ხოლმე. ნამდვილად ღირდა მისი ნახვა, ძალზე გულდასაწყვეტი იქნებოდა, უიმისოდ გასრულებულიყო ეს გრძნეული ღამე.

ამის გაფიქრებაღა მოვასწარი, როცა მზის პირველი სხივი დავინახე, აღმოსავლეთით ამოსხლეტილი. ო, მართლაც ჯადოსნური ღამე იყო ეს ღამე. ჯერაც არასდროს დამენახა მზის პირველი სხივი ასეთი სახით; ელვასავით გადაიქროლა ცის თაღზე და ხის კენწეროების მიღმა ჩაიკარგა. უკვე ყინულად ქცეულმა თვალებმა დაინახეს იგი... ალბათ ჯერ ყინულად უნდა იქცე, რომ მსგავსი რაიმეს დანახვა შეიძლო.

გადაიქროლა თუ არა მზის პირველმა სხივმა, ცეკვა-გართობას ანებეს თავი ცოცხალი ცეცხლის ირგვლივ შემოჯარულმა ტყის თუ მიწის სულებმა, ყველა იმ პოზაში გაირინდა, რომელშიც მოუსწრო მზის პირველმა სხივმა.

ერთადერთი არსება ამოძრავდა ამ გარინდებულ თავყრილობაში; ეს იყო ჩემი თანამოსაუბრე, ფოსფორისთვალებიანი ჯუჯა, კუნძის სული. მან მაშინვე თავისი გულბოყვისკენ მიიდრიკა მაღლა შემართული მკლავი, ხელის მტევნით ამოხაპა იქ ჩაგუბებული ნამის წვეთები და წითლად აბურბურებულ კოცონს მიასხურა...

არ ჩამქრალიყვნენ ნეტავ ასე უეცრად წითლად მოგიზგიზე ცეცხლის ენები, არ გამქრალიყვნენ მეწამული და ლალისფერები, რაც აგრერიგად ამშვენებდა და აცოცხლებდა კოცონის ირგვლივ შემოჯარულ სულთა კრებულს. რა საზარელი, მკვდრული ფერი დაედო ყველა მათგანს, როგორც კი დაჰკარგეს ჯანსაღი, ღაჟღაჟა ელფერი. ეს საშინელი მკვდრული ფერი ჰკლავდა თვით ფორმასაც, არარად ქმნიდა სილამაზეს, თუნდაც ყველაზე უსრულქმნილესს.

სულ ერთი წამით შევასწარი თვალი სიცოცხლის მეწამულ ფერთაგან განძარცვულ, საზარელ აჩრდილებად ქცეულ სულებს, სანამ მთლიანად განქარდებოდნენ, შეერეოდნენ აისის ბინდბუნდს.

სარჩევი

ალმასის ცთომილი	3
ძვირფასი ნაპოვნი	17
ოქროს ნიამორი	42
ცოცხალი ცეცხლი	53

დაიბეჭდა: შპს „პოლიგრაფისტი“, სურამის ქ.№13
ტელ.: 2 95 00 97; 2 97 41 43